

## სოციალური ცვლილებების სოციოლოგია

### მეთოდოლოგიის განმარტება

დღეს სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სოციალური ცვლილებების სოციალ-საფუძვლის დადგენა. თანამედროვე სოციოლოგია და სოციალური თეორია, ისევე, როგორც ძვრები და ცვლილებები თანამედროვე სამყაროში მიუთითებენ, რომ სოციალური ცვლილების ცნება თანდათან ხდება ძირითადი არა მარტო მეცნიერებაში, არამედ პოლიტიკურ და, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურ დისკურსშიც.

ცვლილებების აღწერის რამდენიმე გზა არსებობს<sup>1</sup>. მე ავირჩიე სოციალური ცვლილებების ამოსავალ პუნქტად ინსტიტუციური ცვლილებები გამოძევენებინა და ინსტიტუტის ცნებიდან დამეწყო თეორიის აგება. ინსტიტუტის ცნება მოხერხებულია იმ მხრივ, რომ არც ისე ფართოა, როგორც “სოციალურის” ცნება, და არც ისე ვიწრო, როგორც “კონკრეტული ინდივიდის” ან “აგენტის” ცნებები. პირიქით, ის მოიცავს მათ. ამ მხრივ არსებობს შანსი, რომ დამაკმაყოფილებელი განსაზღვრების მოძებნის გზით შესაძლებელია მყარი საფუძველი მოუნახო სოციალური ცვლილებების შესახებ თეორიას. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა “სისტემის” გამოყენება და ამ ცნებაზე დამყარება, მაგრამ, სისტემა შეიძლება კონკრეტული ადამიანიც იყოს (ამას ამ ნაშრომის ბოლოში ვნახავთ), რაც გამოიწვევდა არასაჭირო აღრევებს მომავალში. რაც შეეხება ინსტიტუტს, კონკრეტული ადამიანი ვერასოდეს ვერ იქნება ინსტიტუტი, იმდენად, რამდენადაც ინსტიტუტი როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, უფრო დამოკიდებულებაა, როგორც ღირებულებების, წესების დაშვებების და აკრძალვების ერთიანობა, ვიდრე “რეალურად” არსებული, მატერიალურად გაფორმებული და განსხეულებული, ამიტომ მისი თუნდაც მეტაფორული გაიგივება კონკრეტულ ადამიანთან არ ხდება (რაც გარდაუვალია სისტემასთან მიმართებაში).

მაგრამ, აქ არსებობს სირთულე, კერძოდ, ინსტიტუტის ცნების გაურკვევლობა და ყოვლისმომცველობა. სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ინსტიტუტის განსაზღვრება/გაიგივება ღირებულებებიდან დაწყებული, კონკრეტული სოციუმის ფორმებით დამთავრებული.

მეორე სიძნელე სოციალური ცვლილებების ნებისმიერი თეორიის კონსტრუირებისას არის აღწერის ამოსავლის პრობლემა: სოციალური გარემოს აღწერის წარმოება შეიძლება ორნაირად: ან ემპირიული კვლევების და დაკვირვებებზე დაყრდნობით (1), ან სპეციალური თეორიული ლიტერატურის გამოყენებით (2). პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მე-2-ე ტიპის

აღწერა უფრო პირველადი და უფრო სანდოა, ვიდრე პირველი: ნებისმიერი დაკვირვება და კვლევა იწარმოება თეორიაზე დაყრდნობით, ასე რომ უმჯობესია პირდაპირ თეორიას დაეყრდნო და განავითარო, ვიდრე ამ თეორიიდან გამომდინარე ემპირიულ შედეგებს.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ თანამედროვე სოციალური ინსტიტუტები მზარდი და განვითარებადი ორგანიზმებია, რომელიმე ერთი თეორიული ამოსავლის არჩევისას ყოველთვის წააწყდები მეორე საწინააღმდეგოს, რომლებსაც როგორც მოაზრებადი, ასევე დაკვირვებადი დასაბუთებები თანაბარი ძალის ექნებათ.

როგორც წესი, ასეთი წინააღმდეგობა მეცნიერების თეორეტიკოსების მიერ ჩათვლილი იყო, როგორც მეცნიერების სიღუჭირის და ნაკლებად მეცნიერულობის (ვერიფიცირებადობის) საფუძველი. მაგრამ ამ უკანასკნელ დებულებას საფუძვლად კვლავ [სოციალური] სამყაროს შესახებ თეორია უდევს, რომლის მიხედვითაც სამყარო ერთგვარია და ერთ აღწერას (თუნდაც ჰიპოტეტურს) უნდა ემორჩილებოდეს<sup>2</sup>.

სოციალური სამყაროს ბოლოდროინდელი აღწერები, როგორც სოციოლოგიაში (ბეკი, ლუმანი, გიდენსი), ასევე ფილოსოფიაში (რორტი, დერიდა, ჯეიმსონი) აღნიშნავენ თანამედროვე [სოციალური] სამყაროს მრავალფეროვნებას და წარმოადგენენ მას ქვე, სუბ-საზოგადოებების ერთიანობად. ასეთი აღწერების ცნებობრივი გამოხატვა მრავალგვარია: სახელმწიფოების გაუქმება და არასაჭიროება (ბეკი), საზოგადოების საზოგადოებების წარმოშობა (ლუმანი), ცენტრის და პერიფერიების გაუქმება (დერიდა) და ა.შ. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ნებისმიერ ადამიანს უჭირავს გარკვეული ადგილი გარკვეულ სისტემაში (ქვე-საზოგადოებაში). შესაბამისად, მის მიერ აღქმული და განცდილი სამყარო დიდათ არის დამოკიდებული იმ თვითემარ სისტემაზე, რომელშიც მას უწევს ცხოვრება.

ამიტომ, ცენტრალური ღირებულებების და იერარქიების სისტემის ნელ-ნელა ნიველირების პირობებში, საზოგადოებების აღწერებში ხდება მნიშვნელოვანი აღმწერის ფაქტორი: ანუ, როდესაც სოციალურ თეორიულ ნაშრომს კითხულობ, იმის გათვალისწინება, რომ არსებული აღწერა არის ზუსტი, ოღონდ, აღწერა მიმდინარეობს იმ ქვე-საზოგადოების კუთხით, რომელშიც აღმწერი იმყოფება, არის ერთადერთი ადეკვატური მიდგომა მაშინ, როდესაც სოციალური სამყაროს აღწერის ამოსავალი თეორიული ნაშრომია<sup>3</sup>.

ამ მეთოდს, რომელიც სოციალური თეორიის კითხვისას და სოციალური სამყაროს რე-კონსტრუირებისას ითვალისწინებს და აღნიშნავს სოციოლოგის პოზიციის მნიშვნელობას და მის აუცილებლობას სოციალური სამყაროს მეტ-ნაკლებად ზუსტი სურათის აგებაში, სოციალ-ბიოგრაფიული მეთოდი დავარქვი.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ეს ე.წ. მიდგომა, რომელსაც “სოციო-ბიოგრაფიული მიდგომა” შეიძლება დავარქვათ: რაც შეეხება წარსულის ცნობილ (პარსონსი, ღურკჰაიმი,

ვებერი და ა.შ.) აღწერებს: იმდენად, რამდენადაც ისინი აღწერდნენ იმ სისიტემებს, რომლებიც დღეისდღეობით ერთ-ერთ ქვე-საზოგადოებად არიან ქცეულები, მათი აღწერები დღესაც აქტუალურია, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ მათი პოზიცია ერთ-ერთია.

ეს მეთოდი გვეხმარება გავიგოთ და აღვწეროთ სხვა პოზიციები, იმდენად რამდენადაც ჩვენთვის ძნელია გავითვალისწინოთ ყველა არსებული პოზიცია, და შევძლოთ მეტ-ნაკლებად ზუსტად აღვწეროთ სოციალური სისტემა. ამ მეთოდის მიხედვით ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული აღწერებიდან არცერთი არ არის მცდარი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ეს განსხვავებული აღწერები ერთნაირი ცნებებით და ცნებების კომპლექსებით უნდა ოპერირებდნენ.

ეს მეთოდი არის უნივერსალური მეთოდი, რომელიც აღწერს ყველა სოციუმს და მისი შემადგენელი ინსტიტუტების ყველა შესაძლებელ კომბინაციას.

ასეთი მეთოდით ხდება რამდენიმე დამკვირვებლის პოზიციის ანალიზი, და შესაბამისად, ამ დამკვირვებლების პოზიციების მიხედვით ინსტიტუტების და ქვე-ინსტიტუტების პრინციპული რაოდენობის დადგენაცაა შესაძლებელი.

ბუნებრივია, ამ მეთოდის მიმართ ბევრი შეკითხვა შეიძლება წარმოიშვას. მაგ, რა მიმართებაშია ის საზოგადოებების ლუმინიანურ აღწერებთან, მუშაობს თუ არა კოდის ცნება ასეთი აღწერების დროს და ა.შ. მაგრამ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ცალკე შრომის ამოცანაა. ამჯერად, ჩემი აზრით უმჯობესი იქნება ვნახოთ ეს მეთოდი მუშაობაში, ანუ, სოციალური ინსტიტუტების ანალიზი ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით.

## შესავალი

სოციალურ ინსტიტუტში მთავარი ელემენტებია ღირებულებები, რომელიც მიღებულია (ან დადგენილია) საზოგადოების უმრავლესობის მიერ, როგორც გარკვეული მოთხოვნილებების შესრულების ლეგიტიმური მიმართულება, და ქცევის წესები, რომელიც ასევე დადგენილია საზოგადოების მიერ, როგორც კონკრეტული ინსტიტუტის შესაბამისი ღირებულების განხორციელების დაშვებული მისაღწევი საშუალებები.

ბუნებრივია აქ ჩნდება კითხვა: ვის მიერ დაშვებული და ვის მიერ ლეგიტიმირებული? ამ კითხვაზე მე შევეცდები გავცე პასუხი, როდესაც ვისაუბრებთ ინსტიტუტების ტიპოლოგიაზე.

სოციალური ინსტიტუტი მუშაობს როგორც “საზოგადოების” ნაწილი და საფუძველი, მაშინ, როდესაც მისი წევრები მიზნად ისახავენ როგორც ლეგიტიმურ მისაღწევ მიზნებს, ასევე, ლეგიტიმური მიზნების მისაღწევ ლეგიტიმურ საშუალებებს. თუკი რომელიმე ეს

ნაწილი არ სრულდება, მაშინ საქმე გვაქვს გადახრასთან, ანუ, დევიანტურ ქცევასთან. თუმცა, რამდენად არის დევიანტური ქცევა ინსტიტუტის დამშლელი და არა პირიქით, შემაკავებელი და გამამყარებელი, საკამათოა.

იგივე შეიძლება ითქვას დევიანტური ქცევის შესახებ, რაც ზემოთ აღნიშნულ ლეგიტიმურ ქცევასთან მიმართებაში; ანუ, ვისი თვალსაზრისით არის ქცევა დევიანტური და ვინ აღგენს დევიანტის დევიანტობას?

### **სოციალურ ინსტიტუტი და ჯგუფი, ორგანიზაცია, ასოციაცია, რიტუალი**

თეორიები სოციალურ ინსტიტუტსა და სხვა სოციალურ დაჯგუფებებს შორის განსხვავების შესახებ სხვადასხვაა. მათ შორის პოლარულებად შეიძლება შემდეგი თვალსაზრისები მიიჩნიოთ:

1. ინსტიტუტი წინასწარ მოცემული სტრუქტურაა, ხოლო კონკრეტული დაჯგუფება, ორგანიზაცია, ასოციაცია – მისი განხორციელება, სტრუქტურის კონკრეტული ფორმა (მალინივსკი, გელენი, ღურკჰაიმი, ლუგლასი)<sup>4</sup>.
2. ასოციაციაში არსებული წესები და ღირებულებები წარმოადგენენ ინსტიტუტებს, ანუ, ინსტიტუტი არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზაციაში (ანუ, ასოციაციები, ორგანიზაციები, საზოგადოებები ქმნიან თავის თავში ინსტიტუტებს როგორც მოქმედების წესებს/ნორმებს) (მაკივერი, პეიჯი)<sup>5</sup>.
3. ინსტიტუტი ეს არის კონკრეტული ჯგუფების და ორგანიზაციების წევრების ქცევებისაგან აბსტრაქცია<sup>6</sup> (კონცეპტუალური კონკრეტიზაცია), ან უბრალოდ, ადამიანთა ქცევებისა, ასე რომ, ის მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერების კონსტრუქტია (რანდალ კოლინზი, ბერგერი, ლუკმანი)<sup>7</sup>.

სამივე ამ თვალსაზრისის ფესვები თვითონ სოციალური ინსტიტუტების ბუნებაშია. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ამას ცხადს გახდის: ქვემოთ ვნახავთ, თუ რამდენად შეესაბამება ზემოთ მოყვანილი სამი განსაზღვრება სოციალური ინსტიტუტების კონკრეტულ ფორმებს:

### **სოციალური ინსტიტუტების ფორმები**

#### **“ოჯახი”**

ადამიანი დაბადებიდანვე ხვდება კონკრეტულ ოჯახში ან ოჯახის სუბსტიტუტში. მისთვის არსებობის სხვაგვარი დასაწყისი შეუძლებელია. შესაბამისად, როგორც ემპირიული აღქმის დონეზე, ასევე თეორიულადაც, ადამიანი ხედავს ოჯახს, როგორც რაღაც სტრუქტურას, რომელსაც კონკრეტულად ბევრი ჯგუფი ახორციელებს: მისი ოჯახი, მეგობრის, მეზობლის ოჯახი და სხვა. შემდეგ ის თვითონ, თუკი გადასწყვეტს ოჯახის შექმნას, ირჩევს ოჯახს,

როგორც უკვე არსებული ოჯახის სტრუქტურის კონკრეტულ, მისეულ განხორციელებას. ანუ, თუკი სოციალური ინსტიტუტის განმსაზღვრელად ავირჩევთ ასეთი პოზიციის ადამიანს, შევეცდებით მასზე დაყრდნობით შევიქმნათ საერთოდ სოციალურ ინსტიტუტებზე წარმოდგენა, მაშინ მივიღებთ, რომ ოჯახი, როგორც ინსტიტუტი წინასწარმოცემული სტრუქტურაა, ხოლო ყველა კონკრეტული ოჯახი, ა, ბ, გ, ამ სტრუქტურის კონკრეტული ფორმებია. ამ მხრივ, ასეთი ტიპის ინსტიტუტი ტრადიციის საფუძველია, შედეგი და თავად ტრადიცია. ტრადიცია ამ შემთხვევაში ისაა, რაც ოჯახის აგენტებს და აქტორებს აძლევს ლეგიტიმური მოთხოვნების და ლეგიტიმური შეფასებების გაკეთების საშუალებას. ოჯახის ასეთი გაგება დამახასიათებელია იმისათვის, ვინც “ირჩევს დაოჯახებას”, ანუ, ვინც არის კონკრეტული ოჯახის შემქმნელი და წამყვანი პირი.

ამავე დროს, ოჯახი, როგორც კონკრეტული სოციალური ორგანიზაცია კონკრეტული ოჯახის არამთავარი კონკრეტული წევრის<sup>8</sup> აზრით, არის ორგანიზაცია, ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც თავის შიგნით აგებს (კონსტრუირებას უწევს) არსებობის წესებს.

ამავე დროს, დამკვირვებლისათვის ოჯახი აბსტრაქციაა. დამკვირვებელში იგულისხმება ის, ვინც თავისი მდგომარეობით, პოზიციით, როლით გამოყოფილია ოჯახიდან, მაგრამ მასთან კავშირი აქვს: ვინც, მაგალითად, კანონს წერს ოჯახის შესახებ, ანდა, ვისაც თავისი მსოფლმხედველობის გამო არ მოსწონს ოჯახის არსებული ფენომენი და საკუთარ თავს გამოყოფს მისგან, გვერდზე აყენებს, მეცნიერი, რომელიც ოჯახს იკვლევს და ა.შ.

## **“სახელმწიფო”**

თუკი სოციალური ინსტიტუტის მოდელად ავირჩევთ სახელმწიფოს, ანდა, როგორც მას ხშირად უწოდებენ – ძალაუფლება-პოლიტიკას, მაშინ მივიღებთ, რომ სახელმწიფო მათთვის, ვინც მასში მთავარ როლს ასრულებს<sup>9</sup>, კონკრეტული დიდი ორგანიზაციაა, რომელიც თავის შიგნით აგებს (კონსტრუირებას უწევს) სხვადასხვა ლეგიტიმურ ინსტიტუტებს – პარლამენტს, არმიას, პოლიციას, ზოგადად ძალაუფლებას, როგორც კონკრეტული სახელმწიფოსათვის შესაბამის კონკრეტულ ინსტიტუტს. ეს ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტში მთავარი მოქმედი პირებისათვის არ არსებობს ძალაუფლება-პოლიტიკის სოციალური ინსტიტუტი(ები) ზოგადად, ის ყოველთვის არის კონკრეტულ დიდ ორგანიზაციაში, სახელმწიფოში შექმნილი ამ სახელმწიფოს კონკრეტული მოქმედებ(ებ)ისათვის. ანუ, როგორც ამ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი და წარმმართველი ლეგიტიმირებული ნორმატიული და არანორმატიული წესების ერთობლიობა. ამ შემთხვევაში,

ინსტიტუტი არის ორგანიზაციის არსებობის წესი, ანუ, ორგანიზაცია, როგორც პროცესი, სოციალური ინსტიტუტია.

ამავე დროს, სახელმწიფო მათთვის, ვინც მასში არ წარმოადგენს ძირითად აქტორს, მაგალითად, ვინც მხოლოდ მიერთებულია მისი ინსტიტუტების მუშაობას, და ეს ინსტიტუტები მასზე მხოლოდ ზემოქმედებენ<sup>10</sup>, წინასწარარსებული, ტრადიციული ფენომენია, რომლის კონკრეტული ფორმებია კონკრეტული ინსტიტუტები და მოქმედებები. ხოლო დამკვირვებლისათვის<sup>11</sup> სახელმწიფო არის აბსტრაქცია იმ მოქმედებებიდან რომელიც სახელმწიფოში ხორციელდება.

### **“სამოქალაქო საზოგადოება”**

თუკი სოციალური ინსტიტუტის მაგალითად ავირჩევთ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებას, ან ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის ეკლესიას, ან რომელიმე ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკურ სისტემას, ვნახავთ, რომ რიგ შემთხვევებში, მართალია მათი ლეგიტიმაცია ხდება ნორმატიულ დონეზე, მაგრამ ეს ნორმატიული აქტები არაფერს არ ამბობს იმ მოქმედების წესზე, ანდა, ღირებულებებზე, რომელთა მიხედვითაც ეს ინსტიტუტები იმართება და მუშაობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ეკლესიის<sup>12</sup>, სამოქალაქო საზოგადოების და ეკონომიკური ინსტიტუტების მიმართ სახელმწიფო იფარგლება ჩარჩოს შემოღებით. დანარჩენი, ანუ, რა სახის ინსტიტუტია ის, როგორ მოქმედებს, რა საკითხებს მიაპყრობს ყურადღებას, ვის მოუწოდებს ჩაერთოს თავის მოქმედებებში და ა.შ. ანუ, კონკრეტული სოციალური ინსტიტუტის კონკრეტული სახე, რაობა დგინდება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მოქმედებებს ეწვეიან მათი წარმომადგენლები, მათი აქტიური, მთავარი წევრები და როგორი სიხშირით რომელ მიზანმიმართულ მოქმედებას იმეორებენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სოციალური ინსტიტუტი იქნება აბსტრაქცია აგენტების<sup>13</sup> მოქმედებებიდან, და მისი კონკრეტული სახე დამოკიდებულია გარკვეული მოქმედებების გამეორების, გარკვეული აქტივობის ჩატარების სიხშირეზე. და ეს აბსტრაქცია შეიცვლება მოქმედების სიხშირის შეცვლასთან, ან შენელებსთან ერთად.

ისევე, როგორც წინა ორ შემთხვევაში, ეკონომიკური სისტემა, სამოქალაქო საზოგადოება და ზოგ შემთხვევაში ეკლესია, გვევლინება ორგანიზაციად პასიური მიმღებისათვის<sup>14</sup>. ხოლო დამკვირვებლისათვის, იმდენად, რამდენადაც არსებობს ეკონომიკის, სამოქ. საზოგადოების და ეკლესიის უამრავი კონკრეტული ფორმა, ასეთი სოციალური ინსტიტუტების ყოველი კონკრეტული ფორმა გარკვეული ზოგადობის, წინასწარმოცემული სტრუქტურის განხორციელებაა.

## დასკვნა

როგორც ვხედავთ არსებობს სოციალური ინსტიტუტების სულ მცირე სამი ფორმა. ანუ, სოციალურ ინსტიტუტები შეიძლება სამნაირად განსაზღვრო. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ განსაზღვრებებში თითოეული მაგალითისთვის სამნაირი განსაზღვრებაა შესაძლებელი, და ყველა ეს განსაზღვრება იწარმოება გარკვეული კუთხიდან–როლიდან. ეს როლი არის სამი: 1. “ცენტრალური” – “აგენტი”; 2. “დამკვირვებელი”; 3. “პასიური მონაწილე” (ე.ი. ვისაც ეხება ინსტიტუტის მუშაობა, მაგრამ ვისთვისაც ინსტიტუტის ეს მუშაობა ცალმხრივია, ანუ, ვინც მხოლოდ იღებს შედეგებს და გზავნილებს).

მეორე და მესამე შემთხვევისათვის გასაგებია რა პოზიციით არის მოცემული განსაზღვრებები. ასევე, უკვე განისაზღვრა, რას ნიშნავს ცენტრალური როლი, ანუ, აგენტის პოზიცია:

“ცენტრალური” არის ინსტიტუტის ძირითადი მოქმედი პირების, ანუ, აგენტების პოზიცია. ანუ, ჩვენს შემთხვევებში, ოჯახის აგენტები იქნებიან ოჯახის აქტიური, “მთავარი” წევრები, სახელმწიფოს – პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, არჩევნების აქტიურად მონაწილეები. ეკონომიკური სისტემაში, ეკლესიაში და სამოქალაქო საზოგადოების შემთხვევაში – აქტიური წევრები, ბიზნესმენები, მორწმუნეები და ა.შ.

მამასადამე, როგორც ვხედავთ, სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრება შესაძლებელია სამნაირად, სამი პოზიციის გამოყენებით (როგორც წინასწარმოცემული სტრუქტურების, როგორც ორგანიზაციის მოქმედების პროცესების და როგორც კონკრეტული მოქმედებებიდან აბსტრაქციების [ცნობიერების კონსტრუქციების]). ანუ, სოციალური ინსტიტუტების მიმართ სამი პოზიცია შეიძლება არსებობდეს: იდეალისტური, რეალისტური და კონცეპტუალისტური<sup>15</sup>. ამ სამი პოზიციიდან ერთ-ერთი მაინც, რომელიმე ინსტიტუციური ფორმის შემთხვევაში არის ცენტრალური<sup>16</sup>, ანუ, აგენტის პოზიცია.

ქვემოთ მოყვანილია სქემა, რომელიც აღწერს სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრებებს-არსებობის ფორმებს პოზიცია/როლებთან მიმართებაში. აშკარად ჩანს, რომ სამი პოზიციის შემთხვევაში სოციალური ინსტიტუტები სამივე მიდგომით აღიწერებიან:

კონკრეტული სოციალური ინსტიტუტი	“ოჯახი”	“სამოქ. საზ.”, “ეკონომიკური სისტემა”, “ეკლესია”	“სახელმწიფო”
პოზიცია აგენტი <sup>17</sup>	იდეალისტური	კონცეპტუალისტური	რეალისტური
დამკვირვებელი	კონცეპტუალისტური	იდეალისტური	კონცეპტუალისტური
პასიური მიმღები- მონაწილე	რეალისტური	რეალისტური	იდეალისტური

პოზიციების/როლების ასეთი დაყოფა რა თქმა უნდა პირობითია. ისინი უმეტესად ერთ ადამიანში შეიძლება გავაერთიანოთ. ანუ, ერთი პიროვნება, ერთი სისტემა, შეიძლება იყოს აგენტი ოჯახთან მიმართებაში, დამკვირვებელი ეკლესიასთან მიმართებაში და პასიური მონაწილე სახელმწიფოსთან მიმართებაში.

ცხრილში მოცემული კონკრეტული სოციალური ინსტიტუტების დასახელებების განაწილება არ არის აუცილებელი, და შეიძლება სხვადასხვა კულტურაში საზოგადოებაში, რეგიონში სხვადასხვა იყოს. ზემოთ მოცემული დანაწილება სპეციფიკურია საქართველოსათვის, და ალბათ, ზოგიერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყნისათვის<sup>18</sup>.

მაგრამ, გარკვეული ვითარებების გამო, აგენტები ხანდახან იცვლიან პოზიციას, მიდგომას. მაგალითად, ოჯახის აგენტი ხდება კონცეპტუალისტი, ანდა, სახელმწიფოს აგენტი – კონცეპტუალისტი, ან, სამოქალაქო საზოგადოების, ეკლესიის, ეკონომიკური სისტემის აგენტი – რეალისტი<sup>19</sup>. ასეთ შემთხვევაში, თუ აგენტების სიმრავლე საკმარისია<sup>20</sup>, ხდება ინსტიტუციონალური ცვლილება და ინსტიტუტი იცვლის ტიპს და ფორმას.

ზემოთ მოყვანილი სოციალური ინსტიტუტების აღწერა გამოსადეგია, როდესაც გაინტერესებს ინსტიტუციონალური ცვლილებები.

იმისათვის, რომ არსებულ საზოგადოებაში აღიწეროს ინსტიტუტების არსებული სისტემები, ამისათვის საჭიროა ინსტიტუციური ტიპების ცნების შემოტანა, რომელიც ფორმალურად ემთხვევა ინსტიტუციურ ფორმებს, მაგრამ მოხერხებულია ინსტიტუციური კომპლექსების აღსაწერად.



ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ამ თავის სათაურთან დაკავშირებით: არსად ამ მსჯელობაში არ გვიხსენებია ჯგუფი, ასოციაცია, რიტუალი. საქმე იმაშია, რომ ისევე, როგორც ორგანიზაცია, ჯგუფიც, ასოციაციაც და რიტუალიც ინსტიტუტის სხვადასხვა განზომილებებია. ანუ, ყველაფერი დამყარებულია ძირითადად მონაწილის პოზიციაზე: ანუ, ჯგუფად, ასოციაციად და რიტუალად “შეფასება” და შემდეგ ამ შეფასების ლეგიტიმაცია, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ინსტიტუტის აღწერის მხრივ არანაირი სიახლე არ შემოაქვს.

ანუ, შეიძლება ვთქვათ, რომ კონკრეტულად “რიტუალი” ორგანიზაციის არსებობის წესია, რომელიც დამკვირვებლის მიერ ფასდება, როგორც “რიტუალი”. ამის არგუმენტი იქნება თუნდაც ის, რომ შესაძლებელია “ინსტიტუციონალიზაცია” ყველაზე უფრო რთული დესკრიფციის შემთხვევაშიც კი აღიწეროს როგორც “რიტუალიზაცია”. მსგავსი დებულებების ფორმულირება შეიძლება ყველა იმ სოციალური ფენომენის მიმართ, რომელსაც ისტორიულად ინსტიტუტს უპირისპირებდნენ.

## **სოციალური ინსტიტუტების ტიპები**

### **შესავალი**

ინსტიტუტების ეს სამი ფორმა, სამი განზომილება, როგორც ვნახეთ, სხვადასხვაგვარად მოქმედებს, იწყებს არსებობას და შესაბამისად, “საზოგადოების”<sup>21</sup> მიმართ სხვადასხვანაირი თვისებები უნდა ჰქონდეს.

ინსტიტუტები, მართალია, ერთის მხრივ ქმნის მისაღწევ მიზნებს (ღირებულებებს) და ადგენს მოქმედების წესებს, მეორე მხრივ, სწორედ ამ დადგენების გამო, ისინი შემაკავებლები და მაკონტროლებლები არიან. თანაც ეს შეკავება და კონტროლი არ არის ერთმნიშვნელოვანი და ყველა ფორმის ინსტიტუტის შემთხვევაში არა აქვს თანაბარი ძალა. შეიძლება ინსტიტუტის ღირებულებები იყოს ძალიან ძლიერი და შემზღვეველი, მაგრამ მოქმედების წესები და სანქციები იმდენად სუსტი, რომ ასეთი ინსტიტუტი წარმოადგენდეს კონტროლის, სტაბილურობის და მოქმედების წესების სიმკაცრის მინიმალურ დონეს. შესაძლებელია, პირიქით, ღირებულებები იყოს ზოგადი და ფართო, მაგრამ ამ სიფართოვის დამცველი ზომები, წესები და სანქციები ძლიერი და გადაულახავი. ამ შემთხვევაში ასეთი ინსტიტუტი წარმოადგენს სტაბილურობის, კონტროლის და მოქმედების წესების სიმკაცრის მაქსიმალურ დონეს. ზემოთ მოყვანილი აღწერებიდან პირველის მაგალითად ჩვენს გარემოში

შეიძლება დავასახელოთ ოჯახი, ხოლო მეორის – ძალაუფლება-პოლიტიკა (ზოგიერთი ინტერპრეტაციით – პოსტკაპიტალისტური სახელმწიფო).

როგორც ზემოთ აღწერილი სოციალური ინსტიტუტების ფორმებიდან ვნახეთ, არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც, “ცენტრალური” პოზიციის მიხედვით, მთლიანად დამყარებულია არიან აგენტების კონკრეტულ აქტივობაზე. აქ შეზღუდვები არ არსებობს, ქვეყნის ზოგადი კანონმდებლობის გარდა. ამიტომ, ამ ფენაში ხდება ამ შეზღუდვების და ჩარჩოების თვითდადგენა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფენა შუალედურია შეზღუდვების მაქსიმალურ და მინიმალურ დონეებს შორის. ამიტომ, შეიძლება “ბუნებრივი” დავარქვათ კონტროლის<sup>22</sup> ქვედა და ზედა დონეების აგენტების მიმართებას გადააქციონ თავისი ინსტიტუტები შუალედურ ინსტიტუტებად. [ამის შესახებ, დაწვრილებით თავში ცვლილებების შესახებ].

ინსტიტუტების ამ სამ ტიპს შეიძლება დავარქვათ მიკრო, მაკრო და მეზო ინსტიტუტები.

### **მიკროინსტიტუტები**

ინსტიტუტები, რომლებიც ქმნის მოქმედების, კონტროლის და სტაბილურობის მინიმალურ დონეს (ანუ, რომელთაც არა აქვთ საშუალება ინსტიტუტის კონკრეტულ განხორციელებაში ბევრი ადამიანი გააერთიანონ).

### **მაკროინსტიტუტები**

ინსტიტუტები, რომლებიც ქმნის მოქმედების, კონტროლის და სტაბილურობის მაქსიმალურ დონეს (ანუ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა ღირებულებებით და წესებით გააერთიანონ “საზოგადოების” წევრების მაქსიმალურ რაოდენობა).

### **მეზოინსტიტუტები**

ინსტიტუტები, რომლებშიც არსებობს ბალანსი, წონასწორობა შეზღუდვებს და სანქციებს შორის. ანუ, ღირებულებაც (მისი ფორმა) და რეპრესიის ძალაც დამოკიდებულია ამ ინსტიტუტების წევრების შეთანხმებულ მოქმედებაზე. ანუ, პოტენციურად შეზღუდვის მოთხოვნა და რეპრესიის იარაღი თანაბარი ძალისაა. შესაბამისად, ეს ინსტიტუტები წარმოადგენს მოქმედების, კონტროლის და სტაბილურობის შუალედურ დონეს<sup>23</sup>.

### **დასკვნა**

თვითონ სოციალური ინსტიტუტების განაწილება ამ სამ ტიპს შორის ყველა საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის არ არის ერთნაირი. მაგალითად, თუკი

განვიხილავთ ადრეულ ტრადიციულ-აგრარულ საზოგადოებას, ვნახავთ, რომ მასში განათლების მიღება ხდება ოჯახში, ანუ გადადის მამიდან ვაჟიშვილზე, დედიდან ქალიშვილზე, ამ შემთხვევაში, განათლება იქნება მიკროინსტიტუტი<sup>24</sup>. თანამედროვე დასავლეთ ევროპაი, როდესაც უმაღლესი განათლება სახელმწიფო პოლიტიკის საზრუნავია და მისი მოქმედების წესები პოლიტიკურად ისაზღვრება, უმაღლესი განათლება მაკროინსტიტუტია<sup>25</sup>. აშშ-ში, სადაც უმაღლესი განათლება ძირითადად ბაზარზეა მიბმული და უმეტესად კერძოა, უმაღლესი განათლება მეზოინსტიტუტია<sup>26</sup>.

საბჭოთა კავშირში თავიდან იყო სურვილი ყველა ინსტიტუტი მაკროდ გადაექციათ (ოჯახის ჩათვლით), ანუ, ყველა ინსტიტუტი მოექციათ რეალისტურ ფორმაში. საბოლოოდ ეს სრულად არ განხორციელდა, მაგრამ ოჯახის საბჭოთა ინსტიტუტი ძლიერ იყო შეჭიდული ძალაუფლება-პოლიტიკასთან<sup>27</sup>.

იმისათვის, რომ ამ შეჭიდულობის ბუნებაში გავერკვეთ, უნდა შემოვიტანოთ კიდევ ერთი ცნება.

### **ინსტიტუციონალური კომპლექსები**

ინსტიტუციური კომპლექსი ის სოციალური შემთხვევაა, როდესაც რამდენიმე ინსტიტუტი შეჭიდულია ან კანონის, ან ტრადიციის (დაუწერლად), ან ორივეს ძალით. ანუ, როდესაც კონკრეტულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში ერთ-ერთი ინსტიტუტის თანაობა (da sein) თავისთავად ნიშნავს მეორის თანაობასაც. (მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში: ძალაუფლება/პოლიტიკა – ეკლესია, ძალაუფლება/პოლიტიკა – ეკლესია – ოჯახი, განათლება – ოჯახი).

სხვადასხვა ინსტიტუციონალური კომპლექსი შეიძლება აღიწეროს ერთი და იგივე ინსტიტუტების სახელებით. მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებაში ეს სახელები, გამომდინარე კომპლექსის ბუნებიდან და თვითონ ინსტიტუტის ფორმიდან, სხვადასხვა რამეს აღნიშნავს. ინსტიტუტებს, რომელთაც ჩვენი გარემოს ისტორიის განმავლობაში არ შეუცვლიათ თავიანთი ფორმა, და ჯერჯერობით მეტწილად ასეთად რჩებიან, არის ოჯახი – მიკროინსტიტუტი, და სახელმწიფო (ძალაუფლება/პოლიტიკა) – მაკროინსტიტუტი. ჩვენი გარემოს, ჩვენი ცივილიზაციის სხვა ინსტიტუტები, როგორც ისტორიის განმავლობაში, ასევე მოდერნულობაში და თანამედროვეობაში იცვლის როგორც ფორმას, ასევე ტიპსაც. ინსტიტუციონალური კომპლექსის კონკრეტული ტიპის საშუალებით შეიძლება განსაზღვროს სახელმწიფოს და საზოგადოების ტიპი. ასევე, ინსტიტუციონალური კომპლექსის ტიპი განსაზღვრავს ერთის მხრივ, რა ფორმა აქვს მასში შემავალ ინსტიტუტებს, ხოლო მეორე მხრივ, ინსტიტუტის ფორმა განსაზღვრავს ინსტიტუციონალური კომპლექსის ტიპს.

ქვემოთ ჩამოთვლილია ინსტიტუციონალური კომპლექსის რამდენიმე მაგალითი:

### **ინსტიტუციონალური კომპლექსების მონაცვლეობა, როგორც ისტორია**

დავიწყოთ მარტივი მაგალითით. გვაქვს ინსტიტუციონალური კომპლექსი – სახელმწიფო-ეკლესია. ეს არის შემთხვევა, როდესაც ინსტიტუციონალურ კომპლექსში გაერთიანებულია არიან სახელმწიფო და ეკლესია. თუმცა, ეს ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს, რომ ასეთი კომპლექსი ნიშნავს დიქტატურას, ან თეოკრატias. რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების სახელმწიფოები ძირითადად ასეთი კომპლექსით ხასიათდებოდა, მაგრამ, ასეთივე კომპლექსით ხასიათდებოდა სულ ცოტა ხნის წინათ (და უმეტეს შემთხვევებში ეხლაც) ევროპის განვითარებული სახელმწიფოები. ეს კომპლექსი სრულიად ტოტალიტარულია, როდესაც “სახელმწიფო-ეკლესიას” დაემატება “ეკონომიკა”, “განათლება” და “ოჯახი”. ამ შემთხვევაში, ანუ, როდესაც ინსტიტუციონალური კომპლექსია “სახელმწიფო-ეკლესია-ეკონომიკა-განათლება-ოჯახი” გვაქვს საქმე დიქტატურასთან და თუ “ეკლესია” ფიგურირებს ამ კომპლექსში, მაშინ თეოკრატულ სახელმწიფოსთან. საბჭოთა კავშირში “ეკლესია” იყო ჩანაცვლებული “პარტია/იდეოლოგიით”. თანაც, ამ შემთხვევაში ყველა ეს ინსტიტუტი, რომელიც გაერთიანებულია ამ კომპლექსში – მაკროთი ისაზღვრება და ინსტიტუტების უმრავლესობა მაკრო ტიპისაა. ასეთ შემთხვევაში უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ სახელმწიფო/საზოგადოების ტიპზე: იმდენად, რამდენადაც მაკროინსტიტუტები ბევრია ამ კომპლექსში, მაკროინსტიტუტების შემკვრელი ღირებულებები (შეზღუდვები) ვერ იქნება ზოგადი, რადგანაც ისინი ბევრ კონკრეტულ სფეროს უნდა შეეხონ. ხოლო რეპრესიის და შეზღუდვის იარაღი რჩება ძლიერი. ამიტომ, ასეთი კომპლექსები ერთი მხრივ რა თქმა უნდა, მაკროდომინანტური სისტემაა, მაგრამ აღწერის დროს ემსგავსება მიკროსისტემას, იმ განსხვავებით, რომ რეპრესიის იარაღი და საშუალება იმასთან შედარებით, რაც მიკროინსტიტუტის გააჩნია, განუზომლად ძლიერია და ყოვლისმომცველი. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, მაკრო და მიკრო ინსტიტუტების თვისებები გაერთიანებულია. ამიტომ, ასეთ კომპლექსებს მაკრო-მიკრო ინსტიტუტების კომპლექსი შეიძლება დავარქვათ.

კაცობრიობის ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინსტიტუციონალური კომპლექსების გართულება და დიფერენციაცია:

ანუ, წინამოდერნული პერიოდი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც “სახელმწიფო-ეკლესია-ეკონომიკა-განათლება-ოჯახი” – სადაც “ძალაუფლება/პოლიტიკა-ეკლესია-ეკონომიკა-განათლება” მაკროინსტიტუტებია, ხოლო ოჯახი მიკრო<sup>28</sup>. ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მიმართულება მაკროდომინანტური ინსტიტუციონალური

კომპლექსებიდან მეზოლომინანტური ინსტიტუციონალური კომპლექსებისაკენ. ანუ, როდესაც “ძალაუფლება/პოლიტიკა” დარჩება ერთადერთ მაკროინსტიტუტად, ხოლო “ოჯახი” ერთადერთ მიკროინსტიტუტად. დანარჩენი ყველა (ეკლესია, განათლება, ეკონომიკა და სხვა) გახდება მეზოინსტიტუტი.

ასევე, შეიძლება განვიხილოთ წინაისტორიული პერიოდი (რა თქმა უნდა ჰიპოთეტური), რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც მიკროინსტიტუტების დომინანტობიდან მოძრაობა მაკროინსტიტუტების დომინანტობისაკენ: “დასაწყისში” განათლება, ოჯახი, ეკონომიკა, შეიძლება ეკლესიის სუბსტიტუტიც, იყვნენ მიკროინსტიტუტები. შემდეგ, განვითარების ტენდენცია წავიდა მიკროინსტიტუტების მაკროებად ქცევისაკენ. რა თქმა უნდა, ისტორიაში იყო გამონაკლისებიც; ანუ, ყველა ინსტიტუტი, არ იყო მხოლოდ მიკრო და მაკრო ტიპების. მაგრამ მეზოინსტიტუტები, ახალი ღრის დადგომამდე, ყოველთვის იყო უფრო ცოტა, ვიდრე მაკროინსტიტუტები. მაგალითისათვის საკმარისია გილდიების სოციალური ფაქტის მოხმობაც. თუმცა, საკითხავია, ის უფრო მიკროინსტიტუტის ფორმაზე იყო ორიენტირებული, თუ მეზოზე. ასევე, გა-მეზო-ების ნიშნებია XVII საუკუნიდან ბაზრობების, სავაჭრო გზების, სალონების, და ა.შ. გაჩენა<sup>29</sup>.


დღეს მსოფლიოში არსებული ტენდენცია შეიძლება აღიწეროს, როგორც განვითარება მეზოლომინანტურობისაკენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რელიგიური ჯგუფები, ეკონომიკური ჯგუფები, ძალაუფლების პოტენციური და აქტუალური მქონე<sup>30</sup> კი – მისწრაფიან იმისაკენ, რომ გახდნენ მეზოინსტიტუტები, ანუ, მოექცნენ თვითრეგულირებად სამყაროში, განსხვავებით მაკრო და მიკრო სამყაროებიდან. თუმცა, განვითარებად ქვეყნებში ხშირია ამ პროცესის შეტრიალების მცდელობები: მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსებული მცდელობები რომელიმე ეკლესიას მიანიჭონ განსაკუთრებული უფლებები, ანუ, აქციონ მაკროინსტიტუტად, ანდა, ეკონომიკური სისტემების ძლიერი რეგულაციის სურვილი, რაც არცთუისე ლიბერალურ კანონებში გამოიხატება. ასევე, ამავე ქვეყნების პოლიტიკოსების სურვილი სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან აკონტროლონ და რეგლამენტირებული გახადონ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა, ანუ, გადააქციონ საკუთარი ორგანიზაციის პროცესად. თუმცა, ეს მოქმედებები ალბათ დროებითია, და თავად აგენტების სურვილს საბოლოოდ წინ ვერაფერი გადაელობება (ამის შესახებ იხილეთ ინსტიტუციონალური ცვლილებების თავში).




განვითარებული ევროპის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არის მაკროლომინანტური სისტემების რელიქტები შემორჩენილი, მიმდინარეობს ამ სისტემების გარდაქმნა მეზოლომინანტურ სისტემებად. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც სასკოლო ელემენტარულ დონეზე რელიგიური განათლების წილი საკმაო იყო<sup>31</sup> თანდათან უარს

ამბობენ ელემენტარული სკოლის სასწავლო გეგმებში კონკრეტული რელიგიის შეტანაზე და მიმართულება რელიგიების ისტორიაზე აქვთ ალებული<sup>32</sup>. ამის გამართლება უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ ოჯახი უკვე აღარ არის ტოტალურად მიჯაჭვული ეკლესიაზე; თუ აქამდე სკოლა რელიგიური სწავლებით ეხმარებოდა ბავშვებს გარკვეულიყვნენ იმ რიტუალებში თუ მოქმედებებში რომლებსაც ოჯახში ან ოჯახთან ერთად ასრულებდნენ, არსებული ტენდენციების მიხედვით სკოლა მალე ხელს შეუშლის ბავშვების ოჯახში ურთიერთობას რელიგიური სწავლებით, როგორც ოჯახისათვის უცხო და უჩვეულო ელემენტის კულტივირებით.

როდესაც ინსტიტუციონალურ კომპლექსებზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ინსტიტუტებიც შეიძლება იყოფოდეს “ქვეინსტიტუტებად”. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია უფრო ღრმა ანალიზის წარმოება, თუ როგორ გამოდიან ერთი ზეინსტიტუტის ფარგლებიდან ქვე-ინსტიტუტები, და როგორ შედიან სხვა ზეინსტიტუტებში. რაც შეიძლება განპირობებული იყოს ტიპის შეცვლით (ანუ, მაგ. მაკროს მეზოთი, ან მეზოს მაკროთი, როგორც ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის შემთხვევაშია ზემოთ მოყვანილ მაგალითში. ასევე, მაკროდან ნაწილობრივ გამოსვლის და მეზოში შესვლის მაგალითია არჩევითი შერიფის თანამდებობა აშშ-ში<sup>33</sup>).

ქვემოთ სქემის სახით მოცემულია ინსტიტუციური კომპლექსების განვითარება ისტორიულ პერიოდებთან მიმართებაში:



-  აღნიშნულია მაკროინსტიტუტები
-  აღნიშნულია მეზონსტიტუტები
-  აღნიშნულია მიკროინსტიტუტები

რა თქმა უნდა, გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში არ იყო ასეთი მკვეთრი და გამოყოფილი, არამედ ტალღოვანი და თანდათანობითი. წყვეტილი ხაზი აღნიშნავს გადასვლის პირობით ტალღას.

როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია გადახრებიც როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ გადახრის შემთხვევაშიც კი ძალაუფლება ეწევა მეზონსტიტუტების არსებობის იმიტაციას.

სქემაზე მეზონსტიტუტის გაგრძელება კონუსური ფორმით მიუთითებს, რომ მიმდინარე და მომავალი პროცესი არის მეზონსტიტუციური ფარგლების გაფართოება და მაკრო და მიკრო ინსტიტუტების შემცირება. მაგრამ ეს პროცესი ალბად საბოლოოდ არასოდეს განხორციელდება (დაწვრილებით, იხ. ბოლო თავი “მაკრო-მეზო და მიკრო-მეზო ინსტიტუციონალური კომპლექსები თანამედროვე სოციალურ სისტემებში”).

### **ევროპოცენტრიზმის შესაძლო ბრალდების წინააღმდეგ**

ასეთი გაწყობის შემოთავაზების შემთხვევაში, პირველი, რაც მოუვა გამოცდილ კრიტიკოსს თავში, არის ამ სქემის ევროპოცენტრულობაში დადანაშაულება, იმდენად, რამდენადაც ეს სქემა იმეორებს დასავლური ცივილიზაციის ისტორიას და ა.შ.

მაგრამ, ასეთი მიდგომა არ არის მართებული, რადგანაც, ჯერ ერთი, ჩემს მიერ შემოთავაზებული ინსტიტუტის ცნება უნივერსალურია<sup>34</sup>, და ახასიათებს ყველა საზოგადოებას და ცივილიზაციას. ინსტიტუტების მაკრო და მიკრო ტიპებიც უნივერსალური დახასიათებაა. რაც შეეხება მეზონსტიტუტებს, მათი მონახვაც ყველა საზოგადოებაში შეიძლება, ძლიერი თუ სუსტი ფორმით.

სხვა საქმეა, რამდენადაა ასე დანახული ცვლილება უნივერსალური, და ხომ არ არის მოსალოდნელი რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც განვითარება წავა სხვა მიმართულებით.

როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა კავშირის დროსაც კი, როდესაც ფაქტიურად არ არსებობდა მეზო დონე, ხდებოდა მეზო დონის ინსტიტუტების იმიტაცია. რაც შეეხება მიმართულებას მეზოლომინანტური სისტემებისაკენ, ეს უკვე თავად სისტემების საკითხია, და პრობლემა ჟღერს შემდეგნაირად: არის თუ არა სისტემა შინაგანად მიმართული თვითრეგულაციისაკენ, თუ უფრო სხვა სისტემით რეგულირებისაკენ?

მაგრამ, ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც განვიხილავთ ინსტიტუციური ცვლილებების საკითხებს.

### **სოციალური ცვლილებების სოციოლოგია – ორი განზომილება**

იმისათვის რომ აღვწეროთ სოციალური ცვლილებები, ინსტიტუტების ტიპების და ისტორიაში მათი მონაცვლეობის სქემა არ გამოგვადგება. ეს სქემა სქემად დარჩება, და მიუხედავად იმისა, რომ ის პროდუქტიულია საერთო განვითარების სურათის დასანახავად, თავად კონკრეტული ცვლილების პროცესზე ვერანაირ ინფორმაციას ვერ მოგვცემს.

მაგრამ, ინსტიტუტების ტიპების და ინსტიტუციური კომპლექსების ცნებები სასარგებლოა არსებული ვითარების აღსაწერად: ინსტიტუციური კომპლექსების დადგენა შეიძლება კვლევით (როგორც კანონმდებლობის სოციოლოგიური კუთხით ანალიზით, ასევე ჩაღრმავებული და რაოდენობრივი გამოკითხვით). როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფოს თუ საზოგადოების გარეგნული, იმიტაციური თუ სიმულაციური სახე, ინსტიტუციური კომპლექსების და ამ კომპლექსებში შემავალი ინსტიტუტების ტიპების დადგენა უჭველად მიუთითებს, თუ რა ტიპის სოციალურ სისტემასთან გვაქვს საქმე<sup>35</sup>.

მაგრამ ეს ყველაფერი ეხება სტატიკურ აღწერას, ანუ, არსებული მდგომარეობის დაფიქსირებას და განსაზღვრებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი აღწერა არაფერს არ გვაძლევს ინსტიტუციური ცვლილებების ახსნისათვის; ანუ, ასეთმა აღწერამ შეიძლება გვითხრას, თუ რა მდგომარეობაშია საზოგადოებრივი სისტემები, რომ არსებობს ტენდენცია – მეზოლომინანტურობისაკენ თუ მაკროლომინანტურობისაკენ. მაგრამ ვერ გვეტყვის რატომ იცვლება კონკრეტულად ესა თუ ის ინსტიტუტი და რა არის ამის საფუძველი.

იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგიაზე, უნდა მივმართოთ ინსტიტუტების აღწერის სხვა განზომილებას: როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით



სოციალური ინსტიტუტების ფორმებზე, აღვწერეთ ინსტიტუტების სამნაირი გაგების შესაძლებლობა, როდესაც თითოეული ეს გაგება დამოკიდებულია პიროვნული სისტემის სამსხვადასხვა ნაწილზე, რომელთაც შეხება აქვთ სოციალურ ინსტიტუტებთან. ანუ: აგენტი – სოციალური ინსტიტუტის “მამოძრავებელი”, “აქტიური წევრი”, დამკვირვებელი – “დისიდენტი” “კანონშემოქმედი”, “მეცნიერი”, და პასიური წევრი, მონაწილე, ინსტიტუტის აქტივობის ცალმხრივი მიმღები, ის ვინც მხოლოდ იღებს სიკეთეებს და გზავნილებს – ანუ ის, ვინც ინსტიტუტის ფარგლებში არსებობს, მაგრამ არ არის აქტიური, მასზე არ არის დამოკიდებული ინსტიტუტის კონკრეტული სახე და ინსტიტუტში მიმდინარე კონკრეტული პროცესები.

კონკრეტული ინსტიტუციური ცვლილება დამყარებულია აგენტებზე. ანუ, იმ სუბიექტებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ, ჩართულნი არიან და წარმართავენ ინსტიტუტების მუშაობას. თეორიულად ინსტიტუციონალური ცვლილება ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება წავიდეს. მაგრამ სანამ ინსტიტუციური ცვლილებების მიმართულებებზე დავიწყებთ ლაპარაკს, უნდა აღვწეროთ ინსტიტუციური ცვლილებების ტიპები; სოციალური ინსტიტუტი ორნაირად შეიძლება შეიცვალოს.

ეს ორი ცვლილებაა 1) დიფერენციაცია და დე-დიფერენციაცია, და 2) რე-ინსტიტუციონალიზაცია.

## **ინსტიტუციური ცვლილებები**

### **1. დიფერენციაცია და დედიფერენციაცია**

შესაძლებელია ერთ სოციალურ ინსტიტუტს გამოეყოს ერთი ან რამდენიმე სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შეინარჩუნებს როგორც “წინაპარი” ინსტიტუტის ტიპს, ასევე ინსტიტუტის ფორმას.

**მაგალითი:** XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში სასკოლო განათლების ინსტიტუტიდან გამოიყო დაწესებულებითი განათლების ინსტიტუტი, რომელსაც უკვე აქვს საკუთარი შერჩევის, მოქმედების წესები და ღირებულებები. ასეთივე ტიპის მაგალითია პოლიციის და არმიის დიფერენციაცია.

როდესაც ამ ტიპის ცვლილებაზე ვლაპარაკობთ, საქმე გვაქვს დიფერენციაციასთან. თუმცა, შესაძლებელია უკუპროცესიც, ანუ, ინსტიტუტების სინთეზი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესი, რომელმაც თავის თავში გააერთიანა დისიდენტური, ავანგარდული და სხვა არსებული ინსტიტუტები<sup>36</sup>. ასეთივე დე-დიფერენციაციის მაგალითია შუა საუკუნეებში ევროპაში “მოქალაქეობის” (ზოგიერთ ინტერპრეტაციაში “ქალაქის”) ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც თავის თავში რამდენიმე არსებულ ინსტიტუტს აერთიანებდა.

ასეთი დიფერენციაცია და რედიფერენციაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც შრომის დანაწილების პროცესი, ასევე გარე იმპულსი, ასევე, აგენტებში წარმოშობილი კონსოლიდაციის სურვილი, როდესაც ისინი (ანუ, ცალ-ცალკე ინსტიტუტები) ვერ უძლავდებიან პრობლემებს, ანდა როდესაც პრობლემები საერთოა და ა.შ. ამ მიზეზებზე ბევრი შეიძლება დაიწეროს და შესაძლებელია მიზეზების მთელი განსხვავებული სისტემები აიგოს, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისეთივე განსხვავებულები იქნება, როგორც სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრებები, რომლებიც როგორც ვნახეთ, განმსაზღვრელის პოზიციაზეა დამოკიდებული და ემთხვევა მას.

ინსტიტუტების ერთ ღონეზე დიფერენციაცია/რედიფერენციაციის მიზეზები შესაძლებელია სულაც არ იყოს ამ ღონეზე წარმოშობილი საჭიროებები და იყოს მაკრო ღონიდან ნაკარნახევი, კანონმდებლობის შეცვლის ან სხვა ნორმატიული აქტის გამოცემის გზით<sup>37</sup>. ამიტომ, ამ სახის ცვლილებების კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა შესაძლებელია, მაგრამ ყოველ საზოგადოებაში და მიკროსაზოგადოებაში სხვადასხვა შეიძლება იყოს. ასე რომ მათზე დაყრდნობით რაიმე ზოგადი წესის გამოყვანა შესაძლებელია, მაგრამ ხელოვნური იქნება. სხვა საქმეა, როდესაც ლაპარაკია ერთი ინსტიტუციური ფორმიდან მეორე ინსტიტუციურ ფორმაში გადასვლის შესახებ.

## 2. რეინსტიტუტიზაცია

ინსტიტუციური ცვლილება, როდესაც ერთი ინსტიტუტი იცვლის ფორმას (და ტიპსაც) და გადადის სხვა ინსტიტუციონალურ ფორმაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინსტიტუტის ტიპის განმსაზღვრელი არის არა ის, თუ რამდენ ადამიანს მოიცავს, არამედ ის, თუ კონტროლის, მოქმედების და რეპრესიის რა და რა სიძლიერის წესებია მასში ლეგიტიმირებული<sup>38</sup>.

შესაბამისად, რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა, იმდენად, რამდენადაც რაოდენობა ყოველთვის ფარდობითია, და ვერასოდეს ვერ იტყვი, რა რიცხვი რას გამოხატავს. ამიტომაც,

როდესაც ქვემოთ ლაპარაკი გვექნება ინსტიტუტების ტიპებზე, (მიკრო, მაკრო, მეზო) გამოვიყენებთ არა რაოდენობრივ განსაზღვრებას, არამედ შინაარსობრივს - ღირებულებების, შეზღუდვების და ნორმების ტიპების აზრით<sup>39</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალურ ინსტიტუტებში მთავარი მოქმედი პირები არიან აგენტები, რომლებიც ზოგიერთი ინსტიტუტის შემთხვევაში აღგენენ ღირებულებებს და შეზღუდვებს, ზოგიერთ შემთხვევაში ასრულებენ და ახორციელებენ არსებულ ნორმებს. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ აგენტებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველა აგენტები არიან, უხდებათ არსებობა არათანაბარ პირობებში. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, იქ, სადაც შეზღუდვები და რეპრესიები ნაკლებია, აგენტები მით უკეთესად გრძნობენ თავს და მით უფრო მიისწრაფიან ამ მდგომარეობისაკენ<sup>40</sup>.

ზემოთ აღწერილი სოციალური ინსტიტუტების ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეზოლომინანტურ დროში ყველაზე ნაკლები შეზღუდვები და რეპრესიები არსებობს კონცეპტუალისტი აგენტების სამყაროში, ანუ, მეზონინსტიტუტების დონეზე. ნაკლები არა იმ აზრით, რომ ამ დონეზე კანონი არ არსებობს და ყველაფერი დაშვებულია. ნაკლები იმ აზრით, რომ კანონები, ღირებულებები, ტენდენციები და ქცევის მიმართულებები დგინდება თვითონ აგენტებს შორის ურთიერთობით და ფაქტიურად, მათივე შემოქმედებაა. ანუ, ამ ინსტიტუციურ ფორმაში და ინსტიტუციურ ტიპში ღირებულებები და ნორმები დადგენილია აგენტების მოქმედებების გენერალიზაციით, აბსტრაქციით. რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუ საკმარისად ბევრი აგენტი შეიცვლის ქცევას რაიმე მიმართულებით, შეიცვლება არა მარტო ასეთი ქცევის მიღებული წესი, არამედ ღირებულებაც და ნორმაც.

ასეთი რამე წარმოუდგენელია დანარჩენი ორი ტიპის და ფორმის შემთხვევაში: წარმოუდგენელია რეალისტური ფორმის და მაკრო ტიპის შემთხვევაში, რადგანაც აქ ძალაუფლების ორგანიზაცია საზღვრავს ინსტიტუციონალურ ფორმას, ანუ, ქცევის წესს და რეპრესიას და არა პირიქით. ასევე წარმოუდგენელია იდეალისტური ფორმის და მიკრო ტიპის შემთხვევაში, რადგანაც აქ ღირებულება არის ხელშეუხებელი, ზევით მდგომი, რეალური იდეალური ტიპი.

ამჯერად მივუახლოვდით ინსტიტუციონალური ცვლილების აღწერას: აგენტის შინაგანი სურვილი თვითონ დაადგინოს საკუთარი მოქმედების საზღვრები (ანუ, საკუთარი ინსტიტუტის კონკრეტული გამოხატულების) და წესები უბიძგებს მას შეცვალოს ინსტიტუტის რიგიდული ფორმა უფრო მოქნილისაკენ და გადაინაცვლოს როგორც აგენტმა მეზო ტიპში, ანუ, კონცეპტუალისტურ ფორმაში. ასეთი გაწყობა ხსნის იმ სურათს,

რომელიც სქემაზეა გამოსახული, ანუ, რატომ ხდება მაკროდომინანტური სისტემებიდან მეზოდომინანტურ სისტემებზე გადასვლა<sup>41</sup>.

მაგრამ, თუ ეს სქემა მუშაობს, მუშაობს ასევე ისიც, რომ არასოდეს არ მოხდება აბსოლუტური მეზოდომინანტური სისტემის მიღწევა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ცვლილებების გამტარებლები აგენტები არიან და ყოველთვის იქნება საკუთარი ღირებულებების, ნორმების და შეზღუდვების დაწესების ექსტრემალური სურვილები, რაც დააწესებელს, წარმატების შემთხვევაში, ჩააყენებს (ან დააბრუნებს) მიკრო ან მაკრო ტიპის სოციალურ სისტემაში<sup>42</sup>.

გარდა ამისა, ეს მოძრაობა არ არის ერთმნიშვნელოვანი. დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული პოლიტიკური პირობების გამო მიმდინარეობს უკუპროცესი. ანუ, მეზო (კონცეპტუალისტური) ინსტიტუტების მაკროინსტიტუტებად ქცევა. შესაძლებელია აღწერო მიკროინსტიტუტებად ქცევის შემთხვევებიც. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ საბოლოო წარმატებით ეს მცდელობები ვერჯერობით არსად არ დამთავრებულა. ალბათ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ მიზანმიმართულ პროცესებს თან სდევს მეზოდომინანტური სისტემების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც თანდათან ტოტალური და ყველაფრის გამჭოლი ხდება. ასე რომ იქ, სადაც მიმდინარეობს გა-მაკრო-ობის შეგნებული მცდელობები, ყოველთვის არსებობს მეზოდომინანტური პროცესის ხელშემწყობი სააგენტო<sup>43</sup>.

ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერი “ღვეიანტური” ქცევა საკუთარი კონტროლის დაწესების მცდელობაა. როდესაც ამ მცდელობას დიდი წინამძღვრობა აქვს, მაშინ ის შესაძლებელია უკიდურეს ფორმებში გადაიზარდოს, რევოლუციის ჩათვლით<sup>44</sup>. თუ ეს წინამძღვრობა არ არის ძლიერი, ანუ, თუ ინსტიტუციონალური კომპლექსები მთლიანად არ მსჭვალავს და კრავს სოციალურ სისტემას, შედარებით უმტკივნეულოდ ხდება მეზოდომინანტური პროცესის განხორციელება. ამის ყველაზე კარგი მაგალითია თანამედროვე ოჯახის მიკრო ტიპიდან თანდათან გადაქცევა მეზო ტიპად: ჰომოსექსუალისტური წყვილების დაკანონება, საქორწინო კონტრაქტი, ეკონომიკური სისტემების მიერ ოჯახის განმსჭვალვა, ინტიმურობის განდევნა ოჯახიდან, როგორც სოციალური ინსტიტუტიდან და ა.შ. თანდათან ოჯახს აქცევს მეზო, ანუ, კონცეპტუალისტურ წარმონაქმნად<sup>45</sup>.

ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ მეზოდომინანტური პროცესის, იქნება ეს არჩევითობა და დეცენტრალიზაცია, რაც აშკარად მიუთითებს იმას, რომ მაკროინსტიტუტები იღებს კონცეპტუალისტურ ფორმას. ეს პროცესიც, (ანუ, მაკროინსტიტუტების გა-მეზო-ების) ისეთივე უსასრულო უნდა იყოს, როგორც კონკრეტულად ოჯახის შემთხვევაში აღვწერეთ.

ამდენად, “დევიანტური” საქციელი არის ინსტიტუციური ცვლილების საფუძველი. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ “დევიანტური” ქცევა უნდა ახასიათებდეს აგენტს. იმ შემთხვევაში თუ დევიანტური ქცევა ახასიათებს ან პასიურ წევრს, ან დაძვინჯებულს, მის მოქმედებას როგორც წესი არ მოქვს შედეგი და ამ შემთხვევაში რეპრესიული აპარატი იწყებს თავის არსენალში არსებული საშუალებების გამოყენებას.

თუმცა, შესაძლებელია პასიური წევრი გადაიქცეს აგენტად, თუკი მათ შეექმნება შესაბამისი პირობები. როგორც ეს ვნახეთ შუა საუკუნეების ბოლონის უნივერსიტეტის მაგალითის განხილვისას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი თვალთახედვით “დევიაცია” არის არა მარტო ინსტიტუციური ცვლილების, არამედ სოციალური ინსტიტუტების არსებობის საფუძველიც: “დევიანტის” ქცევა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ინსტიტუტის გამამყარებელიც კი აღმოჩნდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინსტიტუტი იცვლის ტიპს და ფორმას, მაგრამ მისი რეალური/ფაქტიური შემადგენლობა, რიტუალები, რეკვიზიტები და სხვა იგივე რჩება. ანუ ასეთი ინსტიტუციური ცვლილება საზოგადოების სიმყარის შემანარჩუნებელია, იმდენად, რამდენადაც ინარჩუნებს როლებს და ადგილებს. ის რომ ამ როლების და ადგილების შინაარსი ასეთ შემთხვევებში თავიდან იწერება, თავად სტაბილურობისათვის არა აქვს მნიშვნელობა. მაგალითისათვის ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი თანამედროვე ოჯახის ინსტიტუტიც გამოდგება.

ინსტიტუციონალური ცვლილებების ამ ინტერპრეტაციაში ის კი არ არის მთავარი, თუ როგორი ტენდენციებია დღეს, არამედ ის, რომ ინსტიტუციური ცვლილებების (ანუ, მეზოლომინანტური) მიმართულება ეყრდნობა შესაძლებლობის ფარგლებში ყოველი აგენტის მიერ მაქსიმალური თვითგანსაზღვრის მდგომარეობის მიღწევის სურვილს. მე არ ვიყენებ სიტყვა თავისუფლებას, რადგანაც, შესაძლებელია რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ‘თავისუფლება’ იყოს კონკრეტული თვითგანსაზღვრულობის საწინააღმდეგო (მაგ. შეიძლება თვითგანსაზღვრულობის მიმართულება იყოს აგენტის მოქმედების თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული (ეკლესიის გა-მეზო-ურობის შემთხვევაში).

## **ინსტიტუციონალიზაცია**

ინსტიტუტების ფორმების და ტიპების თვალთახედვით ინსტიტუციონალიზაცია ღირებულებების და რეპრესიული აპარატის ლეგიტიმაციის პროცესია, რომელიც წარმართება პოტენციური, ან აქტუალური აგენტების მიერ ან კონკრეტული ინსტიტუტუციური ფორმისკენ და ტიპისკენ, ან მომდინარეობს კონკრეტული ინსტიტუციური ფორმიდან და ტიპიდან.

“წარმართება .. ..კენ, მომდინარეობს .. ..დან” ნიშნავს აგენტის მიერ პასიური მიმღებების და დამკვირვებლების ძიებას. რომდესაც ეს სამი როლი (აგენტი, პასიური მიმღები და დამკვირვებელი) შეგროვდება ღირებულებების და კრძალებების აპარატის გარშემო, ინსტიტუციონალიზაციის პროცესი დამთავრებულია. თუმცა, ეს მხოლოდ პროცესის დასაწყისია. ლეგიტიმაციის პროცესი არის უწყვეტი და ინსტიტუტის კონკრეტული ფორმების არსებობის თანამდევი პროცესია.

### **აღწერა I – მეზოდომინანტურობის პარამეტრები:**

ინსტიტუტად ქცევის, ანუ, ინსტიტუტუციონალიზაციის მიზნად ძირითადად ორი ფაქტორია დასახელებული: 1. რომ ინსტიტუტი ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვისაა შექმნილი (პარსონსი); 2. ინსტიტუტი დახმარებაა, შვებაა ადამიანებისათვის და ამავე დროს, რაც აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არის ცარიელი ფორმა, რომელიც ფაქტიურად თავისუფალია შინაარსისათვის (გელენი). ანუ ამ მიდგომის თანახმად, შესაძლებელია, ინსტიტუტი მართლაც იქმნებოდეს სადღაც ბაზისური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მას შემდეგ რაც ინსტიტუტი ობიექტივირებულია, სტრუქტურირებულია, ავტონომიურია, ის უფრო ანთავისუფლებს ადამიანებს მათი პირველადი საჭიროებებიდან და საშუალებას იძლევა მათ უფრო “მაღალი”, სხვა განზომილების მიზნები დაისახონ<sup>46</sup>.

მაგრამ, ამ შემთხვევაშიც საქმე ისევეა, როგორც ინსტიტუტების სამნაირი განსაზღვრების შემთხვევაში: ინსტიტუტები არიან ერთსა და იმავე დროს როგორც ბაზისური, ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებლები, ასევე, ცარიელი ფორმები, რომლებიც უნდა ამოივსოს კონკრეტული შინაარსით. ინსტიტუტების ასეთი რავგარობა დამოკიდებულია პოზიციებზე, რომლებიც ზემოთ აღვწერეთ: ანუ, კითხვა უნდა დაისვას არა

“რას აკმაყოფილებს ინსტიტუტი?” არამედ, “რომელი როლისთვის რა ფუნქციას ასრულებს ინსტიტუტი?”

ასე დასმული კითხვის პასუხად მივიღებთ, რომ ინსტიტუტები ძირითად, ბაზისურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს პასიური წევრებისათვის. ანუ, იმათთვის, ვინც იღებს ინსტიტუტების მუშაობის შედეგს და გზავნილს და თვითონ არ/ვერ ახდენს მათზე ზემოქმედებას. აგენტებისათვის ინსტიტუტი, გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს საწყის და ბაზისურ<sup>47</sup> მოთხოვნებს, ამავე დროს ინსტიტუტი მათთვის ცარიელი ფორმაა, რომელსაც ისინი ავსებენ საკუთარი სურვილის და არჩეული მიმართულების მიხედვით<sup>48</sup>. ამ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა პოზიციების აგენტებზე ვლაპარაკობთ, ამ ფორმების სიმკაცრე-სივიწროვე-სიხისტე იქნება გადამწყვეტი მეზოდომინანტური მიმართულების არჩევაში.

ასე რომ, შესაძლებელია, რომ ინსტიტუტი შეიქმნა როგორც ძირითადი და ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. თუმცა, აქ შესაქმნელიც არაფერი იყო, იმდენად, რამდენადაც თუკი მაგალითად, შევადარებთ ადამიანს და მაღალგანვითარებულ ცხოველს, რომელიც ჯგუფურად ცხოვრობს, მათი ბაზისური ინსტიტუტები ერთი და იგივე იქნება, მმართველობის ფორმის ჩათვლით. ეს შედარება ძალიან შორს წაგვიყვანს, და აქ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ამ დონეზე მიკრო და მაკრო გადახლართულია ერთმანეთში და ემთხვევა ერთმანეთს: დიდი ოჯახის თავკაცი და ჯგუფის უფროსი ერთი და იგივეა<sup>49</sup>. ამ შემთხვევაში მისი ფარგლები იქნებოდა ძალიან ვიწრო. მაგრამ შემდეგ იწყება დიფერენციაციის და რე-ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. ანუ, ინსტიტუტის ფარგლების გაფართოება და მაქსიმალური დაცარიელება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტიური ინსტიტუციონალიზაცია იწყება რეინსტიტუციონალიზაციასთან ერთად, ანუ, როდესაც ჩნდება არაძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილი.

ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ცხადი ხდება ინსტიტუციური ცვლილების საფუძველი: ვიწრო ფარგლები და შევსებული სივრცე, რომელიც აქვს პირველად ინსტიტუტებს, არ აკმაყოფილებს აგენტებს, და ისინი ცდილობენ გააფართოონ ინსტიტუტის ფარგლები, ისე, რომ არ შეავსონ ისინი. ამით შეიძლება აიხსნას ინსტიტუციური განვითარების ორიენტაცია ჯერ მაკროდომინანტურ, და შემდეგ, როდესაც მაკროდომინანტურმა მიმართულებამ ამოწურა თავისი თავი – მეზოდომინანტურზე გადასვლა.

მაკროდომინანტურმა მიმართულებამ ამოწურა თავისი თავი მოდერნიზებულ დროში, როდესაც უკვე შეუძლებელი გახდა სახელმწიფოს ორგანიზაციული ფარგლების გაფართოება. ეს ცხადი გახდა, როდესაც ასეთი გაფართოების პრაქტიკული განხორციელება – რუსეთის რევოლუცია – იყო წინამოდერნულ, და ლამის წინაისტორიულ პერიოდში დაბრუნება.

ასეთივე გაფართოების პრაქტიკული განხორციელება იყო ფაშისტური რეჟიმები, რომლებიც ასევე, წინაისტორიულ დიქტატურებად გადაკეთდა.

ასე რომ, რუსეთის რევოლუციას და ფაშიზმის პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ მაკროდომინანტურობის პიკი და დასასრული. რატომაა არის ეს პიკი და თავის ამოწურვა, შეიძლება ასე ავხსნათ:

თავისთავად აგენტის (ამ პოტენციური აგენტის) მაკროდომინანტურობაზე მიმართება მეტი თვითგანსაზღვრულობის გარანტიად გვევლინება, იმდენად, რამდენადაც მაკრო დონეზე საზღვრები გარკვეულია და მკაცრი: არსებობს გარკვეული აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც აგენტმა უნდა შეასრულოს, ხოლო ის "რაც არ არის აკრძალული, დაშვებულია". ამიტომ, აგენტი, ბუნებრივია, ეცდება დააღწიოს თავი მიკრო დონის მკაცრ, გაურკვეველ და მთლიანად ამოვსებულ ინსტიტუტებს და ისეთ დონეებზე გადაინაცვლოს, რომლებიც უფრო მეტი თვითგანსაზღვრული მოქმედებების საშუალებას მისცემენ. წინამოდერნულ ისტორიაში ამ მხრივ შეიძლება ორმხრივი მიმართულება დავინახოთ:

1. მაკროდომინანტურობისაკენ, რომელიც უშუალოდ მოსდევს მიკროდომინანტურობას, და ამ მხრივ, არის სამართალის და იურისპუდენციის წარმოშობის საფუძველი – ანუ, მიმართულება მაკრო საზღვრების მკაცრი და ნათელი ფორმულირებისაკენ, რაც აგენტს საშუალებას აძლევს ზუსტად იცოდეს არსებული შეზღუდვები და ფარგლები.
2. მეზოდომინანტურობისაკენ, რომელიც ახალ დრომდე შედარებით სუსტია, მაგრამ მაინც რჩება მიკროდომინანტურობისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზად: ამდროინდელი მეზომიმართულება, მართალია, თვითდადგენილ ფარგლებში მოქმედებს (მაგ. გილდიები), მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო სამართალი, მაკრო დონე აქტიურად ერევა მის საქმიანობაში, რაც ბუნებრივია შეზღუდავს მის თვითგანსაზღვრულობას.

იმის გამო, რომ მეზო დონე სუსტადაა განვითარებული, და ძირითადი ყურადღება მაკრო დონეზე და მაკროდომინანტურ პროცესებზეა გადატანილი, წამოიშობა მცდელობები მაკრო დონის ფარგლები მაქსიმალურად გაფართოვდეს, ანუ მაკრო დონე გახდეს თვითგანსაზღვრული მოქმედებების სფერო. ამის შედეგი არის საფრანგეთის რევოლუცია, რომლის ისტორიაც კარგად აჩვენებს, თუ როგორ თვით-საზღვრავდნენ მოვლენებს და შემდეგ სხვების მიერ თვითისაზღვრებოდნენ რევოლუციის დიქტატორები (აგენტები).

მაგრამ ეს იყო მაკროდომინანტობის პირველი კრახი<sup>50</sup>. ამის შემდეგ ცოტათი უფრო გაძლიერდა მეზოდომინანტობაზე ორიენტირება, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტების, თავისუფალი ბაზარის, საბოლოოდ კაპიტალიზმის გაჩენით, მაგრამ, როგორც თეორიულ,



პიროვნულ და ასევე გლობალურ-პოლიტიკურ დონეზე, მაკროდომინანტობა (ანუ, უფრო ცხადად რომ ვთქვათ, ბედნიერი და არა რეპრესიული სახელმწიფო წყობის მიღწევა) ჯერ კიდევ აღიქმებოდა, როგორც შესაძლებელი მომავალი.

მაკრო დონის ფარგლების გაფართოება, რომელის გამოც ბოლშევიკები და ფაშისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ (ორივე შემთხვევაში მმართველების მხრიდან იყო “ხალხის არჩევნისადმი” ანუ, სიტუაციური აგენტებისადმი დამორჩილება: განსაკუთრებით ბოლშევიკების შემთხვევაში, როდესაც დროებითმა მთავრობამ ფაქტიურად წინააღმდეგობა არ გაუწია მოჯანყებს. ასევე, ფაშიზმის შემთხვევაში, როდესაც ჰიტლერი გაათავისუფლეს ციხიდან). ამ მაკროდომინანტობის აბსოლუტური განხორციელების ეს ბოლო მცდელობებიც კრახით დამთავრდა. ანუ, შედეგად მივიღეთ აბსოლუტური თვითგანმსახვრელი სამყარო, სადაც ძალიან ცოტა იყო აგენტი, და ძირითადი საზოგადოება – პასიური მიმღები და დამკვირვებელი<sup>51</sup>. ანუ, ფაქტიურად, ეს იყო ნაბიჯი მიკროდომინანტურობისაკენ და მიკროაბსოლუტიზმისაკენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მაკროდომინანტურობის დამლუპველობა და უშედეგობა გამოვლინდა, აშკარაა მეზოდომინანტურობა, არა მარტო ემპირიულ სურვილების/მოლოდინების, არამედ თეორიულ დონეზეც. ასევე აშკარაა მეზოდომინანტურობის ხელშეწყობა გლობალური პოლიტიკა-ძალაუფლების მხრიდან.

რა თქმა უნდა, მეზოდომინანტურობასაც აქვს საფრთხეები. მაგრამ, ამავე დროს არსებობს ამ საფრთხეების დარეგულირების საშუალება: ის კანონები, რომელიც მაკრო დონეზეა დადგენილი, და რომლებიც უსახვრავენ მეზო დონეს მოქმედების ზოგად ჩარჩოებს. დემოკრატიული (პოსტ-კაპიტალისტური) სახელმწიფოს ერთადერთი მიზანი, როგორც ჩანს, არის ამ ჩარჩოებისთვის მაქსიმალური სიციხადის მიცემა და რეპრესიის ისეთი იარაღის შემუშავება, რომელზეც შეუძლებელი იქნება დამრღვევის მიერ წინააღმდეგობის გაწევა. ამ შემთხვევაში შეუცვლელი იარაღებია სასამართლო და მედია<sup>52</sup>.

მაგრამ ეს წონასწორობა, რომელსაც საბოლოო ჯამში მეზოდომინანტური მიმართულება გვთავაზობს, არის მყიფე წონასწორობა, რომელიც შეიძლება ადვილად დაირღვეს, და არანაირად არ არის ანომიისაგან და გაუცხოებისაგან გათავისუფლების საშუალება, როგორც ზოგიერთ ავტორს მიაჩნია<sup>53</sup>. ანომია და გაუცხოება გაუქმდებოდა, თუკი ყველას ექნებოდა აქტუალური საშუალება გამხდარიყო აგენტი. მაგრამ მეზოდომინანტურობის გაძლიერებასთან ერთად ჩვენ მივადგებით ანომიის და გაუცხოების ადვილად დაძლევის ეტაპს, როდესაც ანომირებულსაც და გაუცხოებულსაც ექმნება საშუალება შექმნას თავისი ღირებულებების და აკრძალვების ფორმა, რომელშიც აგენტად მოგვევლინება<sup>54</sup>.

## აღწერა II – ადამიანი, როგორც სააგენტო:

თუმცა, ზემოთ აღწერილი მიმართულების უფრო დაზუსტებული და აგენტებზე ორიენტირებული აღწერაც არის შესაძლებელი: ზემოთ აღწერილი პროცესი ისტორიულ განვითარებაზეა ორიენტირებული, და აღწერს სტატიკურად მაკრო და მეზო დომინანტურ პროცესებს, როგორ ანაცვლებენ ისინი ერთმანეთს და ამბობს, თუ რატომ არის თანამედროვე სამყაროში მეზოდომინანტურობა წამყვანი.

აგენტებზე ორიენტირებული აღწერის ამოსავალი უნდა გახდეს შედარებით უფრო ნაკლებმასშტაბიანი პროცესი, ვიდრე ეს იყო ზემოთ მოცემული. ანუ ამ შემთხვევაში ჩვენი ორიენტირი იქნება რეკოლუციური ვითარება, და ის პირობები, რის გამოც ქვეყანაში იქმნება რეკოლუციური ვითარება:

ტოტალიტარულ ქვეყნებში მაკრო დონე, როგორც წინა აღწერაში აღვნიშნე, არის მკაცრი და შევსებული კანონებით, აკრძალვებით, რეპრესიული აპარატით და ა.შ. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პოტენციური აგენტები მიმართულები არიან მაკრო დონეზე ადგილების დაკავებისაკენ. მაკრო დონეზე აგენტების ადგილების რაოდენობა, მართალია, უფრო მეტია, ვიდრე მიკრო დონეზე, მაგრამ მაინც შეზღუდულია, და მოსურნეთა დიდი ნაწილის დაკმაყოფილება არ ხდება. მაკრო დონისაკენ მიმართულობა პოტენციურ აგენტებში არა მარტო კარიერის გამო არის გამოწვეული: აქ შეიძლება ბევრი მიზეზი იყოს, დაწყებული ეკონომიკური პირობებით, დამთავრებული საზოგადოებრივი აქტიურობის სურვილით.

როდესაც პოტენციური აგენტები ვერ აღწევენ მაკრო დონეზე აგენტობას, ბუნებრივია, ისინი იცვლიან მიმართულებას მეზო დონისაკენ. მაგრამ, სწორედ იმის გამო, რომ მაკრო დონის ინსტიტუციური ფარგლები შევსებულია აკრძალვებით და შეზღუდვებით, მეზო დონე ფაქტიურად არ არსებობს, ან თუ არსებობს, არსებობს მაკრო დონის ძლიერი კონტროლის ქვეშ. პოტენციურ აგენტს არ აკმაყოფილებს მაკრო დონის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა, რადგან მას ამ შემთხვევაში პასიურ მიმდებად გარდაქმნა ემუქრება. საუკეთესო შემთხვევაში კი დამკვირვებლად.

ამიტომ, როგორც გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, პოტენციური აგენტები იწყებენ საიდუმლო ორგანიზაციების შექმნას, რომელთაგან, შესაძლებელია, არც ერთი არ იყოს დასაწყისიდანვე რადიკალური, არამედ, უბრალოდ, კლუბების სახე ჰქონდეთ. მაკრო დონიდან ამის საპასუხო ნაბიჯია საიდუმლო პოლიციის შექმნა<sup>55</sup>, რადგანაც მაკრო დონეს არსებული პრინციპიდან გამომდინარე, მან მეზო დონე მთლიანად უნდა დაიქვემდებაროს და გააკონტროლოს.

საიდუმლო პოლიციის, როგორც დამატებითი რეპრესიის აპარატის წარმოქმნა იწვევს მეზოორგანიზაციების შესაბამეხას პოლიციის მიზნებისადმი, და ისინი რეალურ,

ანტისახელმწიფოებრივ საიდუმლო ორგანიზაციებად გარდაიქმნება, რაშიც დიდი წილი, ემპირიულ დომეზეც კი საიდუმლო პოლიციას, ანუ, თავად მაკრო ღონეს მიუძღვის<sup>56</sup>.

ეს თითქოსდა დაზღვევის და გარანტიების ალების პროცესი უკვე თავის თავში შეიცავს მაკრო ღონის დაშლის და გადაწყობის მარცვლებს: იმ ხალხის სოციალური როლები (ანუ, მაკრო ღონის მიერ დაწესებული ამოცანები და ვალდებულებები), რომელთაც აკისრიათ მაკრო ღონის უსაფრთხოება, კარგავს განსაზღვრულობას, იღლაბნება, ხდება გაურკვეველი: ანუ, ეს ადამიანები იწყებენ მრავალროლიან ცხოვრებას, და ეს როლები როგორც წესი, ერთმანეთს ეწინააღმდეგება<sup>57</sup>. ანუ, ეს ხალხი ერთსა და იმავე დროს ასრულებს აგენტის როლს რამდენიმე განზომილებაში, რამდენიმე ღონეზე. ანუ აგენტები ერთსა და იმავე დროს არიან რეალისტები, კონცეპტუალისტები და იდეალისტები.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია მოსთხოვოს თავის მოხელეს ცხადი ქცევა: არაცხადი ქცევის წესები მათი მუშაობის წესია. თანაც, ზოგჯერ ხდებოდა ამ ფუნქციების მიცემა იმათთვის, ვისაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალებოდათ: პოლიციისათვის (მაგ. რუსეთში, საფრანგეთში), რაც კიდევ უფრო აბნელებდა ვითარებას და გაურკვეველს ხდიდა<sup>58</sup>.

როგორც ჩანს, რევოლუციური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია აგენტების როლების სიმრავლესთან. უფრო ზუსტად კი, ერთი ინდივიდის/სისტემის ფარგლებში არსებულ აგენტების როლების მრავალფეროვნებასთან. ე.ი. რევოლუციის წინა პერიოდში ქვეყანაში იზრდება ინდივიდების მიერ სხვადასხვა აგენტების როლების შესრულება. ანუ ერთი და იგივე პიროვნება მონაწილეობს რამდენიმე ინსტიტუტში როგორც აგენტი. ამ შემთხვევაში, მეზო ღონეზე ქსელი იქმნება არსებობას, მაგრამ ეს არის არა ინსტიტუტების და ორგანიზაციების ქსელი, არამედ, ეს არის ადამიანი, პიროვნება, ინდივიდი როგორც ქსელი (Kreutz). ანუ ადამიანი ბევრი მთავარი როლით, ადამიანი, როგორც სააგენტო.

ის, თუ ასეთი ვითარების შემდეგ რა არის კონკრეტული რევოლუციის საბაბი, ემპირიული ისტორიის საკითხია. თუმცა ცხადია შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერი სოციალური ცვლილების საბაბი, იმპულსი, თუკი ცვლილებას განვიხილავთ მაკრო, მეზო და მიკრო ღონეების მიხედვით, არის გარედან მოსული: გააჩნია ცვლილების მასშტაბს: თუკი ცვლილება ხდება მაკრო ღონეზე, ანუ, სახელმწიფო სტრუქტურა იცვლება, მაშინ იმპულსი მოდის სხვა მაკრო ღონიდან (ლენინი ჯავსნოსანი მატარებლით, როგორც ეს იყო რუსეთის რევოლუციის შემთხვევაში), თუკი ლაპარაკია მცირე ინსტიტუციურ ცვლილებაზე (მაგ. ოჯახის შემთხვევაში), იმპულსი წამოსულია სხვა ინსტიტუციური ღონიდან. ნუ, მიუხედავად “რევოლუციური” ვითარებისა, ქვეყანაში მრავალ როლური მდგომარეობა განაპირობებს ამ მდგომარეობის უცვლელობას, სანამ არ მოდის “უცხოეთიდან” გარკვეული

და ცხადი სიგნალი, გზავნილი, რომელიც შეიცავს მომავალ ცხად სისტემას ცხადი როლებით და ცხადი პოზიციებით.

მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ მკვეთრი სოციალური ცვლილების საფუძველი, პირობა აქ სოციალურ დონეზეა – მეზოდომინანტობა და ადამიანები, როგორც სააგენტოები.

ამ თავის ბოლოში შეიძლება გაკეთდეს ერთი დასკვნა, რომელსაც შესაძლებელია პრაქტიკული მნიშვნელობა ქონდეს სოციოლოგიური კვლევებისათვის: როგორც ზემოთ მოცემული აღწერა მიუთითებს, რაც უფრო მეტი აგენტის როლი აქვს ერთ პიროვნულ სისტემას, მით უფრო ტოტალიტარულია სახელმწიფო. შესაბამისად, რაც უფრო მეტია ამ როლების მატარებლების რაოდენობა, მით უფრო რეველუციურ მდგომარეობაშია სახელმწიფო.

შესაბამისად, ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დემოკრატიული და ღია სახელმწიფო უნდა იყოს მიმართული ერთი ადამიანი/რამდენიმე აგენტი მიმართების შემცირებისაკენ, და საბოლოოდ, სტაბილურობის და დემოკრატიის იდეალი უნდა იყოს ერთი პიროვნული სისტემა—ერთი აგენტი<sup>59</sup>. ეს დღესაც მეტ-ნაკლებად ხორციელდება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ამის საპირისპიროდ, განვითარებად და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მულტიაგენტური სისტემები ჯერ კიდევ არსებობს, რაც ბუნებრივია, გარეგნული ანტურაჟის მიხედვად, სახელმწიფოსთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს. მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ საფრთხის დაძლევა მხოლოდ რეალური დემოკრატიზაციით და ეკონომიკის ლიბერალიზაციით არის შესაძლებელი, და არა იმ სიმულაციური ფორმებით, რომლებითაც დღეს უმეტეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იარაღდებიან.

ერთი პიროვნული სისტემა—ერთი აგენტი ამავე დროს ქვეყნის კეთილდღეობასაც მიუთითებს: ეს სისტემა აჩვენებს იმას, რომ შესაძლებელია ერთი აგენტის როლის შესრულებით სრულყოფილი ცხოვრება, რაც დღეს განვითარებად ქვეყნებში წარმოუდგენელია.

ის, თუ რა სისტემები და მოქმედებები უზრუნველყოფს ამ მდგომარეობას და, შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნებისათვის არსებული საფრთხის დაძლევას, არის თანამედროვე სამყაროში მაკრო და მეზო დონეების ურთიერთმიმართების საკითხი.

**მაკრო-მეზო და მეზო-მიკრო ინსტიტუციონალური კომპლექსები თანამედროვე (გვიან-, წინწასულ- ანდა, გნებავთ პოსტ- მოდერნულ) სოციალურ სისტემებში**

ვითარება, რომელიც მეზოლომინანტურ მიმართულებას შეესაბამება, მიგვითითებს, რომ ინსტიტუციური ცვლილება მიდის სოციალურ სისტემების ორ ძირითად ინსტიტუციონალურ კომპლექსად ჩამოყალიბებამდე: მაკრო-მეზო და მეზო-მიკრო:

მიუხედავად იმისა, რომ კანონები იქმნება და მიიღება მაკრო დონეზე, მიკროინსტიტუტებამდე ეს კანონები (ანუ ახალი აკრძალვები და/ან ახალი ქცევის წესები) სულ უფრო და უფრო ხშირად აღწევს მეზო დონის გავლით: ანუ, მაგალითად, ახალი კანონი ოჯახის შესახებ თანამედროვე ყოფაში ხდება ცნობილი ა) მედიის, ბ) მცირე საზოგადოების გ) ადვოკატების გავლით. თანდათან მივდივართ ისეთ ვითარებამდე, რომ სხვა გზა მაკროდან მიკრომდე უბრალოდ აღარ არსებობს. ყველა შემთხვევაში ხდება მაკრო ინფორმაციის თარგმნა მეზო დონეზე და თარგმნილის გადაცემა. სხვა საქმეა, რომ მიკრო დონეს შემცირების ტენდენცია აქვს და სულ უფრო და უფრო ცოტა რაოდენობის ხალხის მომცველი ხდება.

პოლიცია, რომელიც თითქოს მაკრო დონის პირდაპირი წარმომადგენელია, თანდათან, არჩევითობის, მუნიციპალურ დონეზე მიბმის და სხვა ფაქტორების გამო კარგავს აბსოლუტური მაკრო დონის თვისებებს და ხდება მეზო-მაკრო ინსტიტუციონალური კომპლექსის წარმომადგენელი.

ინსტიტუციონალური კომპლექსის ცნება მე განვსაზღვრე, როგორც ინსტიტუციონალური თანაობა, ანუ როდესაც ერთი დონის ინსტიტუტის არსებობა აუცილებლად მიუთითებს სხვა დონის ინსტიტუტის არსებობაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ ერთი ინსტიტუტი, რომელიც ისტორიულად და ამოცანების მიხედვით არ არის შეჭიდული მეორე დონის ინსტიტუტთან ხდება მისი აუცილებელი მოკავშირე ინსტიტუციონალურ კომპლექსში. იმის გამო, რომ ინსტიტუციური კომპლექსი ასრულებს და ახორციელებს იმ ამოცანას, რომლის გადაჭრაც ცალ-ცალკე არც ერთ ინსტიტუციონალურ ტიპს არ შეუძლია.

ეს ახალი ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბალანსთან, წონასწორობასთან მეზო დონეზე: მეზო დონე მიისწრაფის ტოტალიზაციისაკენ. მეზო დონე არის თვითრეგულირებადი და თვითკონსტრუირებადი: ანუ, არა აქვს არანაირი შინაგანი საზღვრები. შინაგანი საზღვრების არ ქონა ნიშნავს, რომ ის მხოლოდ აგენტების სურვილზეა დამყარებული. ამით ისაზღვრება მეზო დონის პრინციპული მრავალფეროვნება და

დაუსრულებლობა, მაგრამ ამითვე იქმნება საფრთხე, რომ მეზო დონე დაიწყებს ისეთი ჯგუფების წარმოებას, რომლის აგენტებიც ძალაუფლების მოპოვებაზე იქნებიან ორიენტირებული<sup>60</sup>, და საზღვრის არქონის გამო, კვლავ ტოტალიტარულ სისტემაში მოხდება ჩავარდნა. ამიტომ, იმისათვის რომ სისტემა მსგავს უწონობის მდგომარეობაში არ მოექცეს, არსებობს ინსტიტუციონალურ-კომპლექსური მექანიზმების მთელი რიგი, რომელიც აპირობებს მეზო დონის თვით-კონტროლს.

თვითკონტროლის ყველაზე უფრო ცნობილი ფორმაა არჩევნები: არჩევნები თავისთავად არის მეზო მოვლენა და მეზო დონეზე მიღებული გადაწყვეტილება. მაგრამ არჩევნების შედეგად მიღებული კონკრეტული ძალაუფლება მაკრო დონისაა და თავის ოპერირებაში რჩება მაკრო დონეზე. ეს ცხადი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოქმედებს თანამედროვე სამყაროში მაკრო-მეზო კომპლექსი. არჩევნების ინსტიტუტის გავრცელება და გადაჭიმვა ძალაუფლების ყველა თანამდებობაზე, პოლიციის ჩათვლით, უზრუნველყოფს მეზო-დონის თვითკონტროლს, რაც არ შეუძლია ცალკე მაკრო დონეს<sup>61</sup>. მაკრო-მეზო ინსტიტუციური კომპლექსის არსებობის მაგალითი, არჩევნების გარდა, კიდევ ბევრი შეიძლება იყოს. ერთ-ერთი ასეთი კონკრეტული მაგალითია დიდ ბრიტანეთში ისეთი სახელმწიფო ლატარეის არსებობა, რომლის შემოსავალი მთლიანად ხმარდება სამოქალაქო საზოგადოების სექტორის განვითარებას.

ამიტომ, როგორც ზემოთ მოტანილი ანალიზიდან ჩანს, მაკრო დონის გაქრობა არამც თუ არ არის მოსალოდნელი, არამედ არც შეიძლება სოციალური სისტემების უსაფრთხოების თვალსაზრისით. ის, რომ ძალაუფლება ნელ-ნელა გადადის მეზო დონეზე (ბეკი), ანდა სახელმწიფო ხდება ძალიან პატარა არსებული პრობლემების დასაძლევად (გიდენსი) არ აუქმებს იმ ფაქტს, რომ მეზო დონეს თვითკონტროლის ჩამოსაყალიბებლად მაკრო დონეა აუცილებელი. მართალია, ზოგი დიდი კორპორაცია უსაზღვრო ძალაუფლებით სარგებლობს, მაგრამ მასზე კონტროლის უფლება და საშუალება მაკრო დონეზეა.

ამრიგად, ხდება არა მაკრო დონის გაქრობა და ნიველირება, არამედ მაკრო და მეზო დონეების, მეზო და მიკრო დონეების ინსტიტუციური შერწყმა. დღეს კიდევ არის შესაძლებელი მიკრო, მეზო და მაკრო დონეების გამოყოფა, თუნდაც იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყნებში (განსაკუთრებით განვითარებად სახელმწიფოებში) ინსტიტუციური სისტემა სხვადასხვანაირია<sup>62</sup>. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ინსტიტუციური ფორმები და ინსტიტუციური ტიპები საერთოა და არ არის რომელიმე განსაკუთრებული კულტურული გარემოს პრივილეგია, მიმართულება მეზო-მიკრო და მეზო-მაკრო ინსტიტუციური კომპლექსებისაკენ ასევე შესაძლებელია საერთო იყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენად არის რეალურად შესაძლებელი მომავლის ისტორიული მდგომარეობა, როდესაც ეს ორი

კომპლექსი იქნება სოციალური სისტემის ერთადერთი დახასიათება, პრობლემატური საკითხია და მასზე პასუხი არასოდეს არ იქნება შემოწმებადი.

მაშასადამე, აქ ცხადი გახდა განსხვავება ე.წ. “განვითარებულ” და “განვითარებად” სოციალურ ინსტიტუტებს და საერთოდ სოციალურ სისტემებს შორის:

1. “განვითარებული” სოციალური სისტემები მიისწრაფის ‘ერთი ინდივიდი—ერთი აგენტი’ გაწყობისაკენ. ოღონდ, ხშირად ეს ‘ერთი აგენტი’ არის ორგანიზომილებიანი, ანუ, შეესაბამება ინსტიტუციონალურ კომპლექსს (არის ან მაკრო-მეზო, ან მეზო-მიკრო).
2. “განვითარებადი” სოციალური სისტემები ხასიათდება ‘ერთი პიროვნება—სააგენტო’ გაწყობით. ‘სააგენტო’ ნიშნავს იმ აგენტის როლებს, რომლის შესრულებაც უწევს ინდივიდს და რომლებიც სხვადასხვა ინსტიტუციურ ტიპს და ფორმას მიეკუთვნება.

განსხვავება ამ ორ სხვადასვა სისტემას შორის ნათელია, მაგრამ გარკვეული იგივეობა ხშირად აძლევს საშუალებას განვითარებადი ქვეყნების მმართველებს მახდინონ განვითარებული სოციალური სისტემის ან ამ სისტემაზე მიმართულობის სიმულაცია: იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ წარმატება დამალონ ‘სააგენტოს’ სხვა როლები და დასავლეთს მხოლოდ ორი მათგანი დაანახონ<sup>63</sup>.

**Gigi Tevzadze**

## **Sociology of Social Changes**

### *Summary*

For the basis of the research of social changes, author constructs methodology, named by him as Social-biographic: The social world according to contemporary descriptions, divides into sub- or mini-universes, with own attitudes and hierarchy of the values and social positions. Author argues, that all sociological [or, social theory] descriptions given by the different authors are adequate to the reality with one excuse: Authors describes social world and its parts from the point of view of an observer, received in their concrete social groups and environments. Thus, the most appropriate way to describe social universe, is to proceed from the books and texts, by superficial view contradictory to each other and try to construct the system of the social reality, where all used points [authors, books] are right. Only in this case we'll get the picture of diversity as inner characterization of our social universe.

The author considers the “social institutions” for the starting point for the description of the social reality; as the notion of “social institution” is quite general not to identify with “human being”, or “agent” (and that possibility of identifying is the argument, based on which author neglects to use notion of “social system”, or “system”), and quite concrete to identify with the notion of the “social world”.

Having analyzed different authors, such as Durkheim, Gehlen, Malinowski, Douglas, Berger and others, the author comes to the conclusion, that the wide stream of literature on social institution provides us by three types of perception of social institutions, i.e. the three types of approaches to the social reality. According to that the author constructs the “universal typology of social institutions” [Two new notions emerge in this text according to the institutional theory: micro, macro and meso institutions, institutional complexes].

After long theoretical judgments and practical implications [*Chapters and sub-chapters: “Types of Social Institutions”, “Institutional Complexes”, “Changing of Institutional Complexes as History”, “Against Probable Accusation in Euro-Centrism”, “Institutional Changes (Differentiation and re-differentiation, re-institutionalization)”, “Institutionalization (Parameters of Meso-dominance, Individual as an agency)”, “Macro-meso and meso-macro institutional complexes in contemporary social systems”*], the article ends with the conclusion, that any social change of any social environment, beside the readiness of their agents, changes only by the help of an impulse received from outside. This impulse in different cases is different and depends on character, content and structure of the concrete social system.



## შენიშვნები

<sup>1</sup> მაგ. Sztompka Piotr, *The Sociology of Social Changes*. 1994. Blackwell. შტომპკა სოციალური ცვლილებების ამოსავლად იღებს სააგენტოს ცნებას და მის განვითარებას სოციოლოგიაში.

<sup>2</sup> თუმცა მე საბუნებისმეტყველო მეცნიერების თეორიების სოციალურ თეორიად ადაპტირების წინააღმდეგი ვარ, არ შემოიძლია არ აღვნიშნო პოპერის მიერ თეორიის შემუშავების პერიოდში დამკვირვებლის პოზიციის მნიშვნელობის შემოღება ფიზიკაში.

<sup>3</sup> აქვე უნდა აღვნიშნო, რომ XX საუკუნის ბოლო წლების და XXI საუკუნის მოვლენებმა ეჭვს ქვეშ დააყენეს ცენტრ-დაკარგულობის და ქვე-საზოგადოებების ჰორიზონტალური, თანაბრად განფენილობის მართებულობა. უცენტრობა, უღერძობა, ჰორიზონტალურობა – ეს ის აღწერებია, რომლებიც აღწერდნენ დასავლურ, აუტოპოიეზისურ საზოგადოებებს, და იმ მიმართებებს, რომელიც დაწყნარებულ და შეურყეველ სისტემებში წარმოიშობა. ქვე უნდა აღვნიშნო, რომ მაგრამ იგივე ლუმანს არ აღუწერია შემთხვევა, როდესაც ევოლუციურად განვითარებული (მისი აღწერით) და განვითარების წინა საფეხურზე მყოფი (მისი აღწერით) სისტემები ურთიერთქმედებენ – ანუ, სისტემები, რომლებიც ჰორიზონტალურად არიან განფენილები და სისტემები, რომლებიც ჯერ კიდევ ღერძის გარშემო კონსტრუირდებიან (ხდება კონფლიქტი. მაგ. 11 სექტემბრის მოვლენები).

<sup>4</sup> Korte, Hermann und Schafers, Bernard (Hrsg). *Einführung in Hauptbegriffe der Soziologie*. Leske+budrich. Opladen 1998. ანდა, ღურკაჰაიმის პოზიცია: ინსტიტუტები “მოქმედების, ფიქრის და შეგრძნების წესებია, რომლებიც ინდივიდუუმის გარეთაა და იძულების ძალაუფლება აქვს და რომლის ძალითაც ისინი ინდუვიდუუმს თავს ეხვევა”. სევე იხილეთ: Douglas Mary, *How Institutions Think?* 1986. Syracuse Uni. Press. Gehlen, Arnold, Urmensch und Spatkultur. Malinowski, *Culture*. In: *Encyclopaedia of Social Sciences*. 4 bd. 1931. Durkheim, Emile. *The Division of Labor in Society*. New York. 1987.

<sup>5</sup> “თუ ჩვენ ვფიქრობთ რამეზე, როგორც ორგანიზებულ ჯგუფზე, ეს ასოციაციაა, თუ როგორც პროცესზე, ეს ინსტიტუტია” (Maciver R.M., Page Charles H. *Society. An introductory Analysis*. Macmilan & CO LTD. London. 1964).

<sup>6</sup> აქ ურიგო არ იქნება რანდალ კოლინზის ციტატის მოყვანა წიგნიდან “მაკროსოციოლოგიის მიკროსაფუძვლების შესახებ”: “სოციალური ჩვევები, ინსტიტუტები და ორგანიზაციები მხოლოდ ინდივიდების ქცევიდან მიღებული აბსტრაქციებია..... თუ ეს აბსტრაქციები იღებს მუდმივ სახეს, იმიტომ, რომ ინდივიდები, რომლებიც მათ აკეთებენ, იმეორებენ მათ ხშირად მიკრო დონეზე”.

<sup>7</sup> Wossner, Jakobus. *Soziologie. Einführung und Grundlegung*. Bohlau Verlag, Köln, Wien. 1986, aseve, Berger and Luckmann. *The Social construction of Reality*. 1967. Garden City.

<sup>8</sup> ანუ, იმ წვერის აზრით, რომელიც არ ასრულებს ოჯახში მთავარ როლს. ეს შეიძლება იყოს ბავშვი, მოზარდი, ნათესავი, მოსამსახურე და ა.შ.

<sup>9</sup> ანუ, პოლიტიკოსი, მაღალი დონის სახელმწიფო მოხელე, არჩევნების აქტიური მონაწილე და ა.შ.

<sup>10</sup> ხელფასის, სოციალური დაცვის, სხვა გზით. ანუ, როდესაც არ არის მისი მხრიდან არც სურვილი და არც მცდელობა აქტიური როლი შეასრულოს ინსტიტუტის მუშაობაში.

<sup>11</sup> ტერმინი “დამკვირვებელი” აქ გამოიყენება “ოჯახის” მაგალითში აღწერილი მნიშვნელობით: დამკვირვებელში იგულისხმება ის, ვისაც თავისი მსოფლმხედველობის გამო არ მოსწონს სოციალური ინსტიტუტის არსებული ფენომენი, ის, ვინც, მაგალითად, კანონს წერს სოციალური ინსტიტუტის შესახებ, ის, ვინც იკვლევს ამ კონკრეტულ სოციალურ ინსტიტუტს და ა.შ.

<sup>12</sup> ეკლესიასთან მიმართებაში შეიძლება არ დამეთანხმონ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ვითარების ექსპერტები. მაგრამ მათი საწინააღმდეგო არგუმენტი იქნება ის, რომ ის ფორმა, რომლითაც დღეს საქართველოში არსებობს ეკლესია (სახელმწიფო რელიგიად ქცევის სურვილის და რელიგიური ექსტრემისტების დაჯგუფებების ჩათვლით) სწორედ ის ინსტიტუციური ფორმაა, რომელიც იღებს შინაარს და კონკრეტულ მოქმედების სტრუქტურას (ინსტიტუციურ განხორციელებას) მისი წვერების მიერ გარკვეული მოქმედებების ხშირი გამეორების აბსტრაქციით.

<sup>13</sup> მთავარი მოქმედი პირების, ვინც ახორციელებს კონკრეტული ინსტიტუტების მუშაობას, აკონტროლებს მას

14 “პასიური მონაწილეს” როლის მნიშვნელობაა სოციალური ინსტიტუტის ისეთი წევრი, რომელიც მართალია ინსტიტუტის წევრია, მაგრამ არ ღებულობს მონაწილეობას ინსტიტუტის მართვაში, რაც განსაზღვრულია როგორც წესი, მისი ინსტიტუციონალური სტატუსით და ინსტიტუტის ზემოქმედების მხოლოდ მიმღებად გვევლინება. “პასიურობა” არ ნიშნავს, რომ ეს წევრი ფიზიკურად პასიურია. ის შეიძლება ჰიპერაქტიური იყოს, მაგრამ მაინც რჩებოდეს პასიურ წევრად.

15 აქ მინდა ავხსნა, რატომ შევარჩიე ეს სახელები ინსტიტუტების ფორმებისათვის: შუა საუკუნეებში ცნობილმა კამათმა იდეების ბუნების შესახებ სამ ნაწილად დაჰყო მოკამათები: იდეალისტებად, ვინც ამბობდა, რომ 1) იდეები არსებობს ღმერთში, და ღმერთი მათ მიხედვით ქმნის საგნებს, 2) კონცეპტუალისტებად, ვინც ამბობდა, რომ იდეები საგნებიდან და მოვლენებიდან ჩვენს მიერ კონსტრუირებული აბსტრაქციებია, და 3) რეალისტები, ვინც ამბობდნენ, რომ იდეები არის თავად საგნებში.

16 ამ შემთხვევაში სრულიად გასაგებია ინსტიტუტის სამი სხვადასხვა განსაზღვრების არსებობა. ყოველი შემუშავებული იყო აგენტის პოზიციაში რომელიმე ინსტიტუციონალური ფორმის მიმართ, ხოლო სხვების მიმართ – დამკვირვებლის ან პასიური მონაწილის მდგომარეობაში. ამიტომაც შედეგად მივიღეთ სამი სხვადასხვა განსაზღვრება.

17 როდესაც აქაც და სხვაგანაც ამ “აგენტის” შესახებ ვლაპარაკობ, ვგულისხმობ სოციალურ აგენტს, რომელიც ცენტრალურია ინსტიტუტისათვის, და განსხვავდება სიტუაციური, ანუ, ფსიქოლოგიური აგენტისაგან. ფსიქოლოგიური აგენტი არის მდგომარეობა, როდესაც ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ რაიმე სიტუაციაში, ვითარებაში, კონკრეტულ მომენტში წამყვანი, პირობების მოკარნახე, მთავარი მოქმედი პირი ხდება არა სოციალური აგენტი, არამედ სხვა: სიტუაციური აგენტი შეიძლება იყოს ბავშვი (რომელიც უზურპაციას უწევს თავის მშობლებს დაძინების დროს), მოსარჩლე (რომელსაც შეაქვს სარჩელი სახელმწიფო მოხელის, ან სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ის კი არ არის სოციალური აგენტი, არამედ ადვოკატი), მოქალაქე (რომელსაც წითელი ჯვრის განცხადების თანახმად მიაქვს ძველი ტანსაცმელი მესამე ქვეყნების მაცხოვრებლებისათვის). თუკი დავაკვირდებით აქ აღწერილ სიტუაციური აგენტების ტიპებს, ვნახავთ, რომ ისინი ყოველ შემთხვევაში იღებენ სიკეთებს, სარგებებს და გზავნილებს ინსტიტუტების მუშაობისაგან, და თვითონ მასში არ ასრულებენ ცენტრალურ როლებს.

18 ასეთი დამოკიდებულების მოქნილობა იძლევა საშუალებას გამოიყენო ის რადიკალურად განსხვავებული საზოგადოებების შემთხვევაში: დაწყებული ჯერ კიდევ არსებული “პირველყოფილი” საზოგადოებებიდან, სადაც ძალაუფლება/პოლიტიკა სქემაში მოცემული აღწერებიდან ალბათ “ოჯახს” თუ დაემთხვევა, და დამთავრებული ბეკის “რისკის საზოგადოებით”, სადაც ძალაუფლება-პოლიტიკა შეიძლება აღიწეროს, როგორც ზემოთ მოცემულ სქემაში “სამოქალაქო საზოგადოების” და “ეკონომიკური სისტემების” იდენტური.

19 რაც ამ შემთხვევაში როიალისტობის ტოლფასია.

20 ზოგერთ შემთხვევაში კი, როგორც ვნახავთ, სიმრავლეს არა აქვს მნიშვნელობა.

21 მე აქ ვარჩიე “საზოგადოება” ბრჭყალებში ჩამესვა, იმდენად, რამდენადაც სოციალურ მეცნიერებაში და სოციოლოგიაში ის თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად ხდება რეგულატორული ცნება, შესაბამისად მაქსიმალურად ყოვლისმომცველი და ამიტომ, კონკრეტული შინაარსის არმქონე.

22 აქ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო შეზღუდვების ბუნება, რომელიც ტრადიციულ (იდეალისტურ) და სახელმწიფოს (რეალისტურ) დონეებს ახასიათებს: იდეალისტურ დონეზე შეზღუდვების მოთხოვნა არის მკაცრი, მაგრამ განხორციელების და კონტროლის მხარე – სუსტი. რეალისტურ დონეზე შეზღუდვა ყველაზე უფრო მცირეა, მაგრამ განხორციელების და კონტროლის მხარე შესაძლებლობის ფარგლებში აბსოლუტურია. ამიტომ, ბუნებრივია, შესაძლებელია არსებობდეს სწრაფვა იდეალისტური დონიდან ნაკლები დაწესებული შეზღუდვების სამყაროში მოქცევისაკენ, ხოლო რეალისტური დონიდან, ნაკლებად მკაცრი რეპრესიის დონეზე მოხვედრისაკენ.

<sup>23</sup> აქ შეიძლება სპეკულაციას მივცეთ გზა, და ვთქვათ, რომ ამ დონეზე შესაძლებელია ვილაპარაკოთ სოციალური თავისუფლების, ანუ, გადაწყვეტილების თავისუფლების შესახებ.

<sup>24</sup> აქვს იდეალისტური ფორმა

<sup>25</sup> აქვს რელისტური ფორმა

<sup>26</sup> აქვს კონცეპტუალური ფორმა

<sup>27</sup> თუმცა, საკამათოა, რა არის ტოტალიტარული სახელმწიფო ამ კლასიფიკაციის მიხედვით: მაკროინსტიტუტი თუ მიკროინსტიტუტი? ამ ერთი შეხედვით პარადოქსული გამონათქვამის სასარგებლოდ შეძლევი ფაქტორები მეტყველებს: I. ღირებულებები და შესაბამისად აკრძალვები ტოტალიტარულ სახელმწიფოში სტრატეგიციზირებულია, იერარქიული, ზუსტად გაწერილი. II. მართალია, რეპრესიული მექანიზმი ერთი შეხედვით ძლიერია, მაგრამ, ის ყოველთვის ხორციელდება დამკვირვებლების და პასიური მიმღებების მიმართ (რეპრესია ხდება არა აგენტების, არამედ ყოფილი აგენტების მიმართ). III. აგენტებს შეუძლიათ გვერდი აუარონ რეპრესიულ აპარატს თავისი ძალაუფლების გამოყენებით.

თუმცა, მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ, ტოტალიტარული რეჟიმის განვითარება ბოლოს აღწევს მაკრომდგომარეობას, იმდენად, რამდენადაც მისი ღირებულებების და აკრძალვების საზღვრები ფორმალისდება და უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური ხდება. რეპრესიული აპარატი რჩება იგივე დონეზე. სწორედ “უმეტეს და გაურკვეველ შემთხვევებში” ნეიტრალურობა, ხოლო რაღაც შემთხვევებში “ძველი დროის გახსენება” ხდება ტოტალიტარული რეჟიმის, როგორც ინსტიტუტის რღვევის საფუძველი – წარმოიშობა ტოტალური ანომია: ერთი და იგივე შემთხვევის ორი და შეიძლება რამდენიმე ინტერპრეტაცია ხდება. წინამდებარე ტექსტის ენაზე რომ ვთქვათ, იზრდება და ბოლოს აბსოლუტური ხდება იმ შემთხვევების/ხდომილებების რიცხვი, რომლის მონაწილეებიც იძულებულნი არიან თანაბრად და ერთდროულად იყვნენ რეალისტებიც, კონცეპტუალისტებიც და იდეალისტებიც (ამის შესახებ დაწერილებით იხილეთ თავში: “ინსტიტუციონალიზაცია. ადამიანი, როგორც სააგენტო”).

<sup>28</sup> თუმცა ეს სქემა, ისევე, როგორც ყველა სქემა არ არის აბსოლუტური: რა თქმა უნდა, წინამოდერნულ პერიოდში იყო მეზონინსტიტუტებიც (გილდიები შუა საუკუნეების ევროპაში, ინტელექტუალური და რელიგიურ-ინტელექტუალური ჯგუფები, ვაჭრების ასოციაციები და ა.შ.) მაგრამ, წინა მოდერნული პერიოდის ადრეულ ხანაში ისინი იმდენად სუსტები არიან, რომ ძნელია მათი ცალკე გამოყოფა მიკროინსტიტუტებიდან. თანაც, ისინი უმეტესად არსებობდნენ მაკროინსტიტუტების ნებით და ხელშეწყობით. ძლიერი მეზონინსტიტუციური ფორმები, თუკი წარმოიშობოდნენ, იმდენად, რამდენადაც აგენტებისათვის პოტენციურად ყველაზე მისაღები იყო მაკროფორმა, გადადიოდა მაკროინსტიტუტის ფორმაში. ამის მაგალითია, თუნდაც ქრისტიანობის გავრცელება და ასევე, შუა საუკუნეებში უნივერსიტეტის წარმოშობა: შუა საუკუნეების პირველი უნივერსიტეტი შეიქმნა ბოლონიაში XIII საუკუნეში (იხ. *The Rise of Universities*. by Charles Homer Haskins. 1923. Ithaca, New York). თავიდან, უნივერსიტეტი სახელითაც (*universitas* (ლათ.) - ნიშნავს ერთიანობას, გაერთიანებას) და ფორმითაც წარმოადგენდა პროფესორთა, ანუ, ოსტატთა და სტუდენტთა გილდიების გაერთიანებას. გილდიაში ოსტატებს ჰქონდათ დიდი უფლებები, ხოლო შეგირდები, როგორც წესი უფლებობისათვის იყვნენ განწირულნი (სანამ თვითონ გახდებოდნენ ოსტატები). მიხედვად იმისა, რომ ბოლონიაში ჯერ სტუდენტთა გილდია შეიქმნა, და შემდეგ პროფესორების, ქალაქი პროფესორების გილდიას უჭერდა მხარს და უფლებები ძირითადად პროფესორებს ჰქონდათ. უნივერსიტეტის, როგორც გილდიების გაერთიანების წარმოშობის დასაწყისი გამოიწვია 1163 წლის პაპის ბრძანებამ, რომლის მიხედვითაც მაღალი წოდების სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ სწავლება. ამ ბრძანებამ გაავლო სადემარკაციო ხაზი საეკლესიო სკოლებს და უნივერსიტეტებს შორის და მისცა დასაბამი უნივერსიტეტების არსებობას. გილდიის გარდა სხვა ინსტიტუციური ფორმა იმ დროს არ არსებობდა, ამიტომ, ახლად შექმნილი უნივერსიტეტი (ბოლონიის) მოექცა გილდიის ინსტიტუციურ ფორმაში. მაგრამ თუ ოსტატები (პროფესორები) აკმაყოფილებდნენ გილდიის მოთხოვნებს და კმაყოფილები იყვნენ გილდიის წევრობით, სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში ყოფნა წარმოადგენდა პრობლემას; მიუხედავად იმისა, რომ მათ ცალკე გილდია ჰქონდათ, ისინი მაინც აღიქმებოდნენ როგორც შეგირდები და ქალაქის მხრიდან არანაირი შეღავათები არ

ჰქონდათ (ბინის რენტის ფასი, სხვა სახის მომსახურება): 1. ისინი იყვნენ საშუალო ან მაღალი ფენის ოჯახებიდან გამოსულები, და არ მოსწონდათ საკუთარი თავის შეგირდებისათვის გატოლება. 2. საეკლესიო სკოლები, სადაც ადრე ზდებოდა განათლების მიღება, არ იყვნენ გილდიის ფორმის, ისინი უფრო მაკროინსტიტუტებს წარმოადგენდნენ. 3. სტუდენტები როგორც წესი იყვნენ უცხოელები, და მათი ჯგუფები უპირისპირდებოდნენ ქალაქის მმართველობას, რომელიც მათ უყურებდა როგორც შეგირდებს და შეგირდებით ექცეოდა (მაგ. დასაწყისში იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტები გაროზგეს). ამიტომ, უკმაყოფილება სტუდენტებს შორის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, და ბოლოს მიაღწია შეიარაღებულ დაპირისპირებას ქალაქის მოსახლეობას და სტუდენტებს შორის. პროფესორები ქალაქს უჭერდნენ მხარს. ბოლოს და ბოლოს, კონსტანცის საბჭოს საგანგებო გადაწყვეტილებით, სტუდენტებს მიენიჭათ სპეციალური უფლებები, რომელიც მათ ბოლონიაში განსაკუთრებულ პირობებში აყენებდა (პროფესორების არჩევა, გაგდება, ბინებზე, წიგნებზე ფასის დადგენა ქალაქთან შეთანხმებით და ა.შ. იხ. *Universities in Politics. Case study from the late Middle ages and early Modern period.* The John Hopkins Press. Baltimore and London. 1972), ასევე, უნივერსიტეტი გახდა კლერიკალური წრეების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. თუმცა, ასეთი კონკრეტული წარმატება პასიური წევრების გააგენტების მიმართულებით მხოლოდ ბოლონიაში აღინიშნება. სხვა ქვეყნებში, მართალია, ამ ფაქტმა იქონია გამოძახილი, მაგრამ ასეთი რადიკალური ფორმა არ მიუღია. მაგრამ ამის შემდეგ ყველა უნივერსიტეტი ამ ფაქტის გათვალისწინებით იქმნებოდა. უნივერსიტეტის ფორმის მეორე რადიკალური გამოვლინება იყო ოქსფორდი, როგორც მთლიანად პროფესორების უნივერსიტეტი (ბოლონიას ამის საპირისპიროდ “სტუდენტების უნივერსიტეტს” უწოდებდნენ). თუმცა, ფაქტია, რომ ბოლონიის უნივერსიტეტის სტუდენტების, ანუ, სოციალური სტატუსის მიხედვით პასიური წევრების გამოსვლებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ინსტიტუციონალურ ცვლილებაში.

ეს აღწერილი შემთხვევა მაკროდომინანტობის ტიპური მაგალითია. შემდეგ, თანდათან, მეზონსტიტუტები იკრებენ ძალას, და უკვე მოდერნულობის დადგომასთან ერთად, ნელ-ნელა მაკროინსტიტუტებთან ერთად თანაბარ მდგომარეობას იკავებენ. კაპიტალიზმის წარმოშობა, სამოქალაქო აქტიობის სპეციფიკური სახე, საზოგადოებრივი აზრის წარმოშობა - ეს ყველაფერი არის მეზო დონის თანდათანობითი გააქტიურების ნიშნები.

<sup>29</sup> იხ. Habermas, Jurgen. *Structural Transformation of the Public Sphere.* Chicago Uni. Press. 1995

<sup>30</sup> იხ. ამ წიგნის პირველ ნაწილში ბეკის “რისკის საზოგადოება”. ბეკის მიხედვით, რისკის (თანამედროვე) საზოგადოებაში ძალაუფლება გადადის დიდი ასოციაციების და ფირმების ხელში, რომლებიც კი არ უპირისპირდა არსებულ “ოფიციალურ ხელისუფლებას” არამედ იგნორირებს მას.

<sup>31</sup> ანუ, რელიგია იყო [ნაწილობრივ მაინც] მაკროინსტიტუტი და გაერთიანებული იყო ინსტიტუციონალურ კომპლექსში ძალაუფლებასთან და სასკოლო განათლებასთან – შესაბამისად ოჯახთანაც.

<sup>32</sup> იხ. ფინეთის დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმა. *Framecurriculum for comprehensive school.* 1999.

<sup>33</sup> თავისთავად არჩევითობის ფაქტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეზოდომინანტურობისკენ მიმართულება. თუმცა, ალბათ არა აბსოლუტური, რამდენადაც აქ უნდა გავითვალისწინოთ არჩეულის მიერ მიღებული ძალაუფლების ხარისხი, ძალაუფლების ქარიზმა და ა.შ. – ამიტომ, არჩევითობა ალბათ მაკრო-მეზო ინსტიტუციური კომპლექსის ნაწილად უნდა განვიხილოთ.

<sup>34</sup> ანუ, ეს თეორია არ ასახელებს არც ერთ კონკრეტულ ინსტიტუტს, როგორც აუცილებელს, არამედ ყურადღება გადააქვს ინსტიტუტებისადმი მონაწილეების მიდგომებზე, დამოკიდებულებებზე, და ინსტიტუტებში როლების განაწილებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელობა აქვს მონაწილეების როლებს და პოზიციებს ინსტიტუტებისადმი. შესაბამისად, შესაძლებელია მოვიაზროთ საზოგადოება, სადაც ძალაუფლება/პოლიტიკა ისევე ხასიათდება აგენტის, პასიური მონაწილის და დამკვირვებლის მიდგომებით (იდეალისტი, კონცეპტუალისტი, რეალისტი) როგორც ჩვენს ცივილიზაციაში “ოჯახი”, და ა.შ.

<sup>35</sup> ინსტიტუციური ცვლილებები შეიძლება გაიზომოს ინსტიტუციონალური კომპლექსების ცვლილებით, როგორც საკანონმდებლო, ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დონეზე. მაგალითად, თუკი კანონის მიხედვით ტრადიციულ ეკლესიას ჩამოერთმევა პრივილეგიები, ის გახდება მეზონინსტიტუტი. მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, რომ ლეგალურად, ანუ, ნორმატიული აქტების მიხედვით ეკლესიას არ ჰქონდეს პრივილეგიები, მაგრამ გარკვეული პირობების გამო ის მაინც მაკროინსტიტუტი იყოს და ძალაუფლება/პოლიტიკასთან ინსტიტუციონალურ კომპლექსს ქმნიდეს. ამის კონკრეტულ მაგალითია საქართველოში დღევანდელი ვითარება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებით: ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მიღებულია მართლმადიდებლური ეკლესიის აღწერა, როგორც საუკუნეების განმავლობაში მაკროფენომენის. რამდენად მისაღებია ეს ფაქტი – მით უმეტეს რომ გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ახალ დრომდე საქართველო დაყოფილი იყო რამდენიმე სახელმწიფოდ, ისტორიული მეცნიერების ამოცანაა. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა წყობილების დამყარების მერე, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მართლმადიდებლური ეკლესია გახდა მაკროინსტიტუტი. ანუ, ინსტიტუტი, რომელსაც წინასწარ კი არ ჰქონდა მოცემული ქცევის და აკრძალვების წესები, არამედ მის შიგნით ხდებოდა ამ წესების და აკრძალვების კონსტრუირება, საჭიერებისა და მიხედვით. ანუ, ის კონტროლდებოდა და იმართებოდა სახელმწიფო სტრუქტურებიდან. ეს ჩარევა საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა მას მერე, რაც ცხადი გახდა, რომ ეკლესიის განადგურება შეუძლებელია, იმდენად რამდენადაც, ჯერ ერთი, საზღვარგარეთ არსებობდა ანალოგიური ეკლესიები, რომლებიც ყოველთვის დარჩებოდნენ ორიენტირებად, და მეორეც, რამდენიმე სასულიერო პირის დახვედრამ დაანახა საბჭოთა მთავრობას, რომ მოსახლეობას ეს მხოლოდ აღიზიანებს და განაწყობს მის საპირისპიროდ. მაგრამ მაკროდ ქცევის პროცესი არ იყო ერთმნიშვნელოვანი: ამავე დროს ერთი მხრივ სახელმწიფო, ხოლო მეორე მხრივ თვითონ ეკლესია შეეცადა, რომ არ დაეკარგა მედიაციურობის ნიშნები, ანუ, არ დაეკარგა მრევლის მოზიდვის მომნიშვნელობა. ეს იქნა მიღწეული, ერთი მხრივ საქართველოს კულტურის ძირითად მონაპოვრად საეკლესიო ხელოვნების (არქიტექტურა, საგალობლები, საეკლესიო მხატვრობა) გამოცხადება-კულტივირებით, და მეორე მხრივ – ამავე საფუძველზე ქართული ნაციონალიზმის ფაქტიური დაშვებით და ნაციონალისტობის “ჩუმი” უფლების მიცემით. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ თითქოს ცხადი იყო, რომ ეკლესიას სახელმწიფო აკონტროლებდა, მეორე მხრივ ეკლესია “საიდუმლო თავშეყრის” ადგილად გადაიქცა, სადაც მორწმუნე-პატრიოტები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ბუნებრივია, ეს თავშეყრის ადგილებიც ისევე კონტროლდებოდა (ან ვერ კონტროლდებოდა – ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რა მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციური ცვლილებებისათვის ასეთ მოქმედებებს სახელმწიფოს მხრიდან), როგორც პატრიარქების დანიშვნა და მღვდლად კურთხევა. მაგრამ ეს პროცედურები, თავისი ბუნების მიხედვით არ იყო ცხადი, და სავსებით შესაძლებელი იყო ვინმე “გამძვრალიყო”, დასხლტომოდა მათ. ასე რომ საბოლოო ჯამში, მაინც გაურკვეველი იყო, ეკლესია მთლიანად კონტროლის ქვეშ იყო, თუ შეიძლებოდა რამდენიმე “პიროვნება-ოაზისის” მონახვა. ასეთივე ვითარება იყო პატრიოტ-მორწმუნეების მიმართაც, რომლებიც ეკლესიაში იკრიბებოდნენ. გარდა ამისა, საბჭოთა ეკლესია მაქსიმალურად ცდილობდა ტოლერანტული ყოფილიყო: საქართველოს მართლმადიდებლობის მთავარ ტაძარში გარკვეული პერიოდულობით სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები ერთად ლოცულობდნენ.

მოკლედ, ამ პირობებში ეკლესიას არ აკლდა არც მრევლი, არც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, და არც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი. მაგრამ, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ლეგიტიმური ვითარება რადიკალურად შეიცვალა: ახალ სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებები მიუთითებდნენ ეკლესიისაგან მაქსიმალურ დაშორებისკენ და ყველა კონფესიის თანაბრად გამოცხადებისკენ. თუმცა იმდენად, რამდენადაც ხელისუფლებაში მაინც ძირითადად ყოფილი პარტიული ბოსები და საეკლესიო პატრიტიზმზე აღზრდილი ხალხი იყო, კონსტიტუციაში მაინც ჩაწერეს, რომ “მართლმადიდებლურ ეკლესიას გააჩნია განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში”. ეს ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზა მოგვიანებით აღმოჩნდა ის მოსაჭიდი წერტილი, რომლისგანც დაიწყო მოძრაობა რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა, ანუ, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მოთხოვნამ. თუ გავითვალისწინებთ

იმასაც, რომ საქართველოს მთავრობაში დღითი დღე ძლიერდება ყოფილი პარტიული ბოსების პოზიციები, გასაგები უნდა იყოს, რომ ეკლესიისათვის ძველი სახის დაბრუნება მათ უნდა აწყობდეთ, როგორც საზოგადოების კონტროლის გამოცდილი საშუალება (მაგრამ, როგორც შემდეგ, “ინსტიტუციონალიზაციის” თავში ვნახავთ, სწორედ ასეთი კონტროლის საშუალებაა, რაც ერთის მხრივ ამყარებს, მაგრამ მეორე მხრივ შლის ტოტალიტარულ სახელმწიფოს). თანაც ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ლეგიტიმურად საბჭოთა დროს ეკლესია არ იყო სახელმწიფოს ნაწილი. დღეს ბიუჯეტური მეტ-ნაკლები გამჭვირვალობის პირობებში თანდათან შეუძლებელი ხდება ეკლესიის ფარულად დაფინანსება. ამიტომ, ეკლესია სულ უფრო და უფრო აქტიურად მოითხოვს სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებას. ანუ, ის ცდილობს მოიპოვოს იგივე მაკრო სტატუსი, რომელიც ჰქონდა საბჭოთა წყობილების დროს. მაგრამ “იმ” სტატუსის მოპოვება დღეს შეუძლებელია, რადგანაც ლეგიტიმაციის გარეშე (ანუ, კონსტიტუციური შესწორების, ოფიციალური დაფინანსების და სხვა) შეუძლებელია იმ ვითარების ნიშნები შეიძინო, ხოლო თავისთავად ლეგიტიმაცია, ანუ, მაკროინსტიტუტად ქცევა გამორიცხავს საზოგადოებრივი კონტროლის იმ მექანიზმის აღდგენას. ამიტომ, დღეს საქართველოში ეკლესიამ შეიძლება ითქვას, მიაღწია მაკროინსტიტუტის მდგომარეობას: შევიდა შესწორება კონსტიტუციაში, საუბრობდნენ საკონსტიტუციო ხელშეკრულებაზე და ა.შ. პრეზიდენტი მონათლა, სახელმწიფო მოხელეებიც თავს ვალდებულად თვლიან შეიღებონ მონათლონ და ეკლესიისადმი კუთვნილების აფიშირება მოაწყონ. ასევე, ეკლესიის აშენება იქცა ერთგვარ მოდად, და ამავე დროს თავის დაცვად, კორუფციაში ჩართული ხალხის მხრიდან. თუმცა, ეკლესია ლეგიტიმაციის დონეზე მაინც არ არის ბოლომდე მაკროინსტიტუტი, მისდამი სახელმწიფოს დამოკიდებულება და მის მიერ საკუთარი თავის აღქმა მთლიანად მაკროინსტიტუტს შეეფერება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს წარმომადგენლები დღეს ცდილობენ ეკლესიას მიაწერონ მედიაციური ფუნქცია: ეს მათ იმ ძველი, საზოგადოების კონტროლის მექანიზმის ასამუშავებლად სჭირდებად.

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ თუ ეკლესია მედიაციური ფუნქციას ასრულებდა შუა საუკუნეებში სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, მაშინ რატომ იყო მაკროინსტიტუტი? საქმე ისაა, რომ “მედიაცია” არ ნიშნავს “მეზონსტიტუციურ ტიპს”: მედიაცია შესაძლებელია მაკროინსტიტუციონალურ დონეს ეკუთვნოდეს, როგორც ეს იყო ეკლესიის შემთხვევაში შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში. ანდა, პრესის და ტელევიზიის ძირითადი ნაწილი დღეს რუსეთში და საქართველოში (ალბათ სხვა ქვეყნებშიც) – ასრულებენ მაკრო დონის შეკვეთებს და გვევლინებიან მაკროინსტიტუტებად. სხვა საქმეა, რომ ეს მაკრო დონე რამდენიმე, შეიძლება ურთიერთდაპირისპირებული ნაწილებისაგან შედგება. ანუ, “მედიაციურობა” არ ნიშნავს მეზონსტიტუციონალური დონისადმი კუთვნილებას. შეიძლება, პირიქით, საპირისპიროსაც კი აღნიშნავდეს: ანუ, მედიაციური ფუნქცია შეიძლება საერთოდ არ იყოს მეზო დონის თვისება.

<sup>36</sup> თუმცა, შემდეგ მოხდა ამ გაერთიანების დანაწევრება და პოლიტიკური მოძრაობების გამოყოფა. თუმცა, დღეს საქართველოში ე.წ. წარუმატებელი, ან ტალღოვანი წარმატების მქონე პარტიები კიდევ რჩება (ნაწილობრივ მაინც) სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში.

<sup>37</sup> ასევე, წინა მაგალითზე დაყრდნობით რომ ვთქვათ, ეს გაერთიანება შეიქმნა შესაძლებელი მას შემდეგ, რაც დასავლური ორგანიზაციების კონტაქტის პრიორიტეტი გახდა ზოგადად “სამოქალაქო საზოგადოება”. ანუ ამ შემთხვევაში მოხდა გარედან მოსული იმპულსის მიხედვით დედიფერენციაცია.

<sup>38</sup> ლეგიტიმაცია აქ გამოიყენება ყველაზე ფართო აზრით: დადგენის, გაზიარების, თავისთავად ცხადობის მნიშვნელობით.

<sup>39</sup> თუმცა, ისიც ცხადია, რომ თუ სოციალურ ინსტიტუტს ახასიათებს მკაცრი შეზღუდვები და სუსტი რეპრესიის/კონტროლის იარაღი, მაშინ მისი კონკრეტული ფორმა უფრო ნაკლები სუბიექტების და აგენტების მომცველი იქნება, ვიდრე იმ სოციალური ინსტიტუტის კონკრეტული ფორმა, რომელსაც აქვს ნაკლები ღირებულებითი შეზღუდვა და შესაბამისად, რეპრესიის ნაკლები ფაქტიური, ნორმატიული მოთხოვნა.

<sup>40</sup> ასე, შუა საუკუნეების შემთხვევაში, მართალია მეზონსტიტუტები არსებობდა, მაგრამ არსებული სამართლებრივი სივრცის და ძალაუფლების გამო, მაკროინსტიტუტებში უფრო მეტი

თვითდადგენის და თვითკონსტრუირების საშუალება იყო, ვიდრე მეზოდ დარჩენაში, ანდა საერთოდ მიკრო დონეზე გადასვლაში. ამ უკანასკნელ დონეებში მხოლოდ აგენტებს გააჩნდათ განუსაზღვრელი ძალაუფლება, სხვა აბლოსუტურად უუფლებო იყო. მაშინ როდესაც მაკრო დონეს შეეძლო ნებისმიერისათვის “მინიჭებინა” აგენტობა - ბრძანებით. ამიტომ ამ პერიოდში, გარდა იმისა, რომ მაკრო დონეზე ნაკლები შეზღუდვაა, მაკრო დონე ყველაზე უფრო მეტად უწყობს ხელს თვითდამდგენ და თვითგანმსაზღვრელ (რა თქმა უნდა გარკვეულ, მკაცრად დადგენილ ფარგლებში) ინსტიტუტებს.

<sup>41</sup> ეს არ ნიშნავს, რომ ყველა აგენტი მაინცდამაინც თავისუფლებისმოყვარეობით არის შეპყრობილი. მონობის სურვილიც მეზო დონეზე უფრო ადვილად განხორციელდება, ვიდრე სხვა დონეზე. ისევე, როგორც ყველა სხვა დევიაციური ქცევაც.

<sup>42</sup> ანუ, კიდევ უფრო რომ განვმარტოთ, შეუძლებელია აღწერო ისეთი სოციალური ვითარება, სადაც ყველა სოციალური ინსტიტუტი მეზოა. ანუ, ამის ჩვენება შეუძლებელია: მეზო დონის მრავალფეროვნება თავის თავში შეიცავს ამ მრავალფეროვნებებს შორის მიკრო-დონის ტრადიციული ინსტიტუტების (მაგალითად, ტრადიციული ოჯახის) არსებობასაც. ეს კი ნიშნავს, რომ იმის აღწერა (დამტკიცება) რომ ყველა ინსტიტუტი გახდა მეზო – შეუძლებელია. იგივე შეიძლება ითქვას მაკრო დონის ინსტიტუტების მიმართაც.

<sup>43</sup> ამ შემთხვევაში იგულისხმება მეზო ფენის აქტიური მხარდამჭერები ბიზნესმენების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების და რელიგიური უმცირესობების სახით.

<sup>44</sup> თუ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ამ დევიაციებში დაიჭერს საერთოს და იმ მიმართულებით წავა, რა მიმართულებითაც მას დევიანტები გაჰყვებიან.

<sup>45</sup> ეს არ ნიშნავს, რომ ისტორიაში მხოლოდ მეზო დომინანტურ პროცესებს ჰქონდათ ადგილი. მაგალითად, შუა საუკუნეებში უნივერსიტეტი გილდიის კონცეპტუალისტური ფორმიდან გამოვიდა და გახდა მაკრო, რეალისტური ფორმის ინსტიტუტი. მართალია, ის დღეს ბრუნდება მეზო ფორმაში, მაგრამ ეს არ აუქმებს შუა საუკუნეების ფაქტს.

<sup>46</sup> ამ განსაზღვრების საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი გამოდგება: ოფიციალური სადილის მიზანი არ არის ჭამის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. და არც შიმშილის ჩაქრობა. ის არის, ფაქტიურად, ცარიელი ფორმა, რომელიც შეიძლება აივსოს სხვა მიზნებით და მოტივებით, როგორცაა ურთიერთობა, ფლირტი, პოლიტიკური კომპომილების გამყარება, მაფიოზური ჯგუფის შეკვრა და ა.შ. (იხ. Ziderveld, Anton C. The Institutional Imperative. The Interface of Institutions and Networks. 2000. Amsterdam University Press. p. 33-42).

<sup>47</sup> “ბაზისური” მოთხოვნილების ცნება საკმაოდ ფართოა, და დღეისდღეობით, შეიცავს ისეთ მომენტებს, რომელიც წინა საუკუნის დასაწყისში არ ითვლებოდა ასეთად. ბაზისური მოთხოვნებია სოციალური დაცვა, სამუშაო, ჯანდაცვა, უსაფრთხოება, ასევე, კომუნიკაცია და ა.შ.

<sup>48</sup> ანუ, ოჯახის აგენტიისათვის “ოჯახის” ინსტიტუტი არის ცარიელი ფორმა, რომელიც მან უნდა შეავსოს საკუთარი შინაარსით. მაგრამ, აქ დგება ამ ფორმის სივიწროვის საკითხი, ანუ, რამდენად ფართოა ესა თუ ის ინსტიტუტი იმისათვის, რომ აგენტი არ შეიზღუდოს თავის მოლოდინებში. “ოჯახის” (უკვე კონკრეტულის) პასიური წევრისათვის ოჯახი ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფორმაა. ასევე, დამკვირვებლისთვისაც, თუ ის ოჯახში ცხოვრობს, ოჯახი ასეთად გვევლინება.

<sup>49</sup> თუმცა, ერთმნიშვნელოვნად არც იმის თქმა არ შეიძლება, რომ მაღალგანვითარებული ცხოველის სოციუმი ექსტრემალურად ტოტალიტარულია (იხ. ფარლი მოუეტი “ნუ იყვირებ: მგელი, მგელი!” თბილისი. 1985. Farley Mowat “Don’t Cry: the Wolf!”).

<sup>50</sup> მაგრამ მეორე მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფო, როგორც თანამედროვე, ასევე რომის პერიოდის, არის მაკროდომინანტური მიმართულების (ანუ, მოქმედების საზღვრების მაქსიმალური ლეგიტიმური გაფართოების) შედეგი. მართალია, შემდეგ ამ გზას ჩიხამდე დიქტატურის და ტოტალიტარიზმის შექმნამდე მივყავართ, მაგრამ ეს სხვაზე არაფერზე მიუთითებს, გარდა იმისა, რომ შესაძლებელია ისტორიის ციკლურობის/წრიულობის დაძლევა და გადალახვა.

<sup>51</sup> თუმცა, რიგ შემთხვევებში ხდებოდა სპონტანური, სიტუაციური აგენტების წარმოშობა და გაქრობა (სახალხო დასჯის, სასამართლოში წათრევის ინსპირატორები და ა.შ.). ეს ხდებოდა

ყველა რეკოლუციის დროს (მათ შორის რუსეთშიც) და წარმოადგენდა მაკროინსტიტუტების საზღვრების წაშლამდე და გაქრობამდე გაფართოების შედეგს.

<sup>52</sup> მაგალითად ბილ გეითსისადმი წაყენებული ანტიმინოპოლიური კანონის დარღვევის ბრალდება გამოდგება.

<sup>53</sup> Ziderveld, Anton C. *The Institutional Imperative. The Interface of Institutions and Networks*. 2000. Amsterdam University Press. p. 198-201.

<sup>54</sup> ამ შემთხვევაში მივადექით ზღვარს, რომლის იქითაც შესაძლებელია ახალი ეთიკის შესახებ ლაპარაკი. ამიტომ ეს ამ წიგნის თემა აღარ არის.

<sup>55</sup> ამასთან დაკავშირებით იხილეთ: Kreutz, Henrik. “Gutgemeint ist das Gegenteil von ist gelungen”. in: *Materials of the Conference: “Organisierte Kriminaliteat oder ‘Invisible Hands’?” Universitaet Erlangen-Nurnbeg*. 20.07.-21.07. Nurnberg. 2001. ამ ნაშრომში განხილულია რეკოლუციის წინ რუსეთში მიმდინარე მოვლენები და ნაცადია იმდროინდელი ცენტრალური სოციალური როლების რეკონსტრუირება.

<sup>56</sup> თუკი გადავხედავთ ნებისმიერი ქვეყნის რეკოლუციის წინა პერიოდის ისტორიას, ვნახავთ, რომ ვითარება ამ მხრივ ყველგან ერთნაირია: პოლიციის საიდუმლო თანამშრომლები ერთვებიან საიდუმლო ორგანიზაციების მუშაობაში, ხანდახან თვითონ ქმნიან მას. იწყებენ ხალხის მოზიდვას და მათი, როგორც პოლიციის, ასევე ორგანიზაციის საქმიანობაში ჩაბმას. ჩნდებიან ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი აგენტები.

<sup>57</sup> Kreutz, Henrik. *ibid.* რომან მალინოვსკის მაგალითი: ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება ყოფილიყო დუმის წევრი, ოხრანკის აგენტი, რეკოლუციური ჯგუფის აქტივისტი და ა.შ.

<sup>58</sup> იმიტომ, რომ იყო სრულიად გაურკვეველი, რატომ ჰქონდათ პოლიციელებს და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს (მათი ნაწილი რეკოლუციურ დავალებებსაც ასრულებდა) ურთიერთობა. თანაც ეს ურთიერთობა იყო საქმიანი, პარტნიორული და ხშირ შემთხვევებში სარგებლის მომტანი. ეს კიდევ უფრო ძაბავდა სახელმწიფოში ვითარებას, და ბიძგს აძლევდა მეტ ხალხს გაწევრიანებულიყვნენ, ან თავი ეგრძნოთ საიდუმლო ორგანიზაციების წევრებად. შემდეგ ისინი ხდებოდნენ ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი აგენტები და ა.შ.

<sup>59</sup> ასეთი სისტემა იწვევს აგენტების როლების მეტ-ნაკლებ თანაბარ გადანაწილებას, და ალბათ, მომავალში, ასეთ სისტემებში შეუძლებელი იქნება ნახო ადამიანი, რომელსაც საერთოდ, არც ერთ ინსტიტუციურ ფორმაში არ ჰქონდეს აგენტის როლი.

<sup>60</sup> ამის საუკეთესო მაგალითია თანამედროვე ანტიგლობალისტების მოძრაობა.

<sup>61</sup> ამის მცდელობა იყო რეკოლუციის წინა პერიოდებში საიდუმლო პოლიციის შექმნა, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ ერთსა და იმავე დროს მაკრო და მეზო დონის აგენტები.

<sup>62</sup> რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ბევრ სხვა ფაქტორებზე.

<sup>63</sup> რაც, ზედაპირული გაცნობის შემთხვევაში, ადვილად შეიძლება დიდი და ხანგრძლივი შეცდომების წყარო აღმოჩნდეს.